



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



CZECH REPUBLIC  
DEVELOPMENT COOPERATION

# პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის უნაღიზი იმერეთის რეგიონში



Research



# კოვიდ-19-ის ღირებულებათა ჯაჭვის უნაღიზი იმერეთის რეგიონში

პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ახორციელებს „ფიფლ ინ ნიდ“

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ „ფიფლ ინ ნიდ“ და პი ემ სი კვლევითი ცენტრი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

კვლევის კოორდინატორი: ნინო ხატისაშვილი  
უფროსი მკვლევარი: ია კაცია

მკვლევრები:  
ნინო ხატისაშვილი  
მარიამ სალარეიშვილი  
სოფო ბასილიძე

კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ორგანიზაციებმა:  
მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი  
ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი  
აფხაზინტერკონტი

# შინაარსი

შემაჯამებელი მიმოხილვა .....	8
1. შესავალი .....	10
1.1 კვლევის მიზანი .....	10
1.2 პროდუქტის წარმოების მნიშვნელობა.....	10
1.3 ევროკავშირთან ვაჭრობის (DCFTA) უპირატესობები.....	11
2. კვლევის მეთოდოლოგია.....	12
2.1 მეთოდოლოგია .....	12
2.1.1 საოფისე სამუშაოები .....	12
2.1.2 საველე სამუშაოები .....	13
2.2 კვლევის შეზღუდვები .....	13
3. პომიდვრის სექტორის აღწერა საქართველოში .....	14
3.1 ქვეყანაში პომიდვრის წარმოების მიმოხილვა.....	14
3.2.1 პომიდვრის მახასიათებლები და ჯიშები.....	16
3.2 რეგიონში პროდუქტის წარმოების მიმოხილვა .....	18
4. Grid Map – ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები .....	20
4.1 Flow chart.....	20
4.2 ლაბორატორიები, თესლის, მცენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების და ტექნიკის მომწოდებლები .....	21
4.3 ფერმერები .....	21
4.4 საწყობები/სამაცივრეები/გადამამუშავებლები.....	23
4.5 შუამავლები .....	24
4.6 მომხმარებელი.....	24
4.7 პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები .....	24
4.7.1 სახელმწიფო უწყებები და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები.....	24
4.7.2 დონორები და არასამთავრობო ორგანიზაციები.....	25
4.7.3 კვლევითი ორგანიზაციები .....	26
4.7.4 სექტორული ასოციაცია .....	26
5. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების ანალიზი.....	27
5.1 დაფინანსების საშუალებები .....	27
5.1.1 სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროექტები .....	27
5.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და გამონვევები .....	30
6. სექტორის განვითარების პოტენციური ეროვნულ ბაზარზე.....	32
6.1 დასაქმების შესაძლებლობები.....	32
6.2 შემოსავლების გენერირება.....	32
6.3 გარემოზე გავლენა.....	32
7. Global Value Chain-ში მონაწილეობის პოტენციალი.....	33
7.1 პროდუქტის სექტორი მსოფლიოში .....	33
7.1.1 წარმოების დონე მსოფლიოში .....	33
7.1.2 უმსხვილესი მწარმოებლები .....	34
7.1.3 ყველაზე მაღალი პროდუქტიულობის მქონე ქვეყნები .....	34
7.1.4 მწარმოებელთა ფასები.....	34
7.1.5 უმსხვილესი იმპორტიორები და ექსპორტიორები.....	35

7.2 საქართველოს პომიდვრის ვაჭრობის სტატისტიკა.....	39
7.2.1 პროდუქტით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა.....	39
7.2.2 საექსპორტო ბაზრები და იმპორტიორი ქვეყნები .....	40
7.3 პროდუქტის ევროკავშირში ექსპორტის პოტენციალი .....	41
7.3.1 საჭირო სერტიფიკატები და მათთან ასოცირებული ხარჯები .....	41
7.3.2 ტრანსპორტირების ხარჯები.....	42
7.3.3 უცხოურ სავაჭრო ობიექტებთან დაკავშირების არხები.....	42
7.3.4 პოტენციალის შეფასება .....	43
8. SWOT ანალიზი და დისკუსია .....	47
8.1 ძლიერი მხარეები და განვითარების პოტენციალი .....	47
9. რეკომენდაციები.....	50
9.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს .....	50
9.2 რეკომენდაციები შუალედური რგოლის წარმომადგენლებისთვის.....	51
9.3 რეკომენდაციები სახელმწიფოს .....	51
9.4 რეკომენდაციები ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად .....	52
ბიბლიოგრაფია .....	52
დანართი.....	53

## ცხრილები

ცხრილი 1: პომიდვრის ნათესი და აღებული ფართობი რეგიონების მიხედვით(ჰექტარი) .....	15
ცხრილი 2: პომიდვრის წარმოება რეგიონების მიხედვით(ტონა).....	15
ცხრილი 3: პომიდვრის საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰექტარი).....	16
ცხრილი 4: პომიდვრის ჯიშები .....	17
ცხრილი 5: პომიდვრის მოსავალი და ფართობები, იმერეთის რეგიონი, (2017 წელი) .....	19
ცხრილი 6: პროგრამა „შელავათიანი აგროკრედიტის“ შედეგები 2013-2017 .....	29
ცხრილი 7: საქართველოში პომიდვრის იმპორტიორი ქვეყნები, 2017 წელი .....	41
ცხრილი 8: პომიდვრის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები .....	44
ცხრილი 9: პომიდვრის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები იმერეთის შემთხვევაში ....	45
ცხრილი 10: პომიდვრის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები .....	46
ცხრილი 11: .დამატებული ღირებულება პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვში.....	46

## ლიპრაქები

დიაგრამა 1: პომიდვრის წარმოება საქართველოში ყველა ტიპის მეურნეობაში(ტონა) .....	14
დიაგრამა 2: იმერეთის რეგიონში ერთწლიანი კულტურების მოსავალი(2017 წელი) .....	19
დიაგრამა 3: პომიდვრის არსებული ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map) .....	20
დიაგრამა 4: მსოფლიოში პომიდვრის საშუალო მოსავლიანობა .....	33
დიაგრამა 5: პომიდვრის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული.....	34
დიაგრამა 6: ქვეყნები პომიდვრის ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე .....	35
დიაგრამა 7: პომიდვრის უდიდესი მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული მოსავლით 1 ჰექტარზე.....	35
დიაგრამა 8. პომიდვრის მწარმოებელთა ფასები.....	36
დიაგრამა 9: მსოფლიოში პომიდვრის ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნები.....	37
დიაგრამა 10: მსოფლიოში პომიდვრის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნები.....	38
დიაგრამა 11: ევროკავშირში ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები.....	38
დიაგრამა 12: ახალი ან გაცივებული პომიდვრის ექსპორტი.....	39
დიაგრამა 13: ახალი ან გაცივებული პომიდვრის იმპორტი საქართველოში .....	40
დიაგრამა 14: საქართველოდან პომიდვრის საექსპორტო ქვეყნები(ათასი ტონა) .....	40
დიაგრამა 15: 1 კგ პომიდვრის გაყიდვის ფასი(ლარი), 2017 წელი .....	44

## აკრონიმები

საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
REAP	საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი
MoA	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
FAOSTAT	გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა
FAO	გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
DCFTA	შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ
HACCP	საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა
GLOBAL G.A.P.	სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო პრაქტიკის სტანდარტი

## შემაჯავებელი მიმოხილვა

საქართველოში პომიდვრის წარმოება უკვე ტრადიციადაა ქცეული. პომიდორი საქართველოს ყველა რეგიონში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ ბოსტნეული კულტურებიდან ის ყველაზე დიდი რაოდენობით იწარმოება. საქართველოს ერთ-ერთ უპირატესობას, პომიდვრის წარმოების კუთხით, წარმოადგენს პომიდვრის გემოვნური თვისებები და ასევე კლიმატი, რომელიც ხელსაყრელია არასეზონური წარმოებისათვის.<sup>1</sup> პომიდორი ყველაზე მოხმარებადი ბოსტნეულია მსოფლიოში.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემი საქართველოსთვის არ არსებობს, სავარაუდოა ეს ფაქტი საქართველოსთვისაც სწორი აღმოჩნდება.

იმერეთში არსებობს ბოსტნეულისა და, კონკრეტულად, პომიდვრის წარმოების მრავალწლიანი ტრადიცია, შესანიშნავი კლიმატური პირობები და ასევე უკვე კარგად ნაცნობი და ათვისებული პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ბოსტნეულის წარმოების განვითარებას იმერეთში. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (წყალტუბო, ხონი და სამტრედია) კარგად არის განვითარებული სასათბურე ინფრასტრუქტურა, თუმცა მათი მასშტაბი მაინც მცირეა და პომიდორი უფრო მეტად ღია გრუნტზე იწარმოება.

საქართველოში პომიდორი მცირე რაოდენობით იწარმოება. 2017 წლის მონაცემებით სულ საქართველოში იწარმოვა 49.9 ათასი ტონა პომიდორი. წარმოებული რაოდენობა საკმარისი არაა მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. შესაბამისად, ქართული წარმოების პომიდორი ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში ჩანაცვლებულია იმპორტირებული პომიდვრით. ოფიციალური მონაცემებით ცნობილი არ არის, რა ოდენობის ბოსტნეულს მოიხმარს ქვეყნის მოსახლეობა. მათ შორის, არც იმაზე არსებობს წარმოდგენა, რამდენი პომიდორი სჭირდება ადგილობრივ ბაზარს. პომიდვრის მოხმარების მიახლოებითი მონაცემის გამოსათვლელად წარმოებას უნდა დაემატოს იმპორტის მონაცემი და გამოაკლდეს ექსპორტი. თუმცა, ეს რასაკვირველია, არ იქნება ზუსტი მონაცემი. ამ მეთოდით გამოთვლის შემთხვევაში, პომიდვრის მთლიანი მოხმარება 2017 წელს დაახლოებით 63.5 ტონას შეადგენდა.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015 წელს საქართველოში იმპორტირებული პომიდვრის მთლიანი ღირებულება 23-ჯერ აღემატებოდა ექსპორტირებული პომიდვრის ღირებულებას.

2017 წელს პომიდვრის ექსპორტის ღირებულებამ შეადგინა 4.2 მილიონი აშშ დოლარი, რაც 88.9%-ით მეტია წინა წლის (2016 წლის) შესაბამის მაჩვენებელზე. 2017 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა როგორც პომიდვრის მთლიანი ექსპორტის ღირებულება, ასევე რაოდენობაც. სულ 2017 წელს განხორციელდა 3 074 ტონა<sup>3</sup> პომიდვრის ექსპორტი, რაც 36.5%-ით მეტია 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2017 წლის მონაცემების მიხედვით, ქართული პომიდვრის ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია რუსეთის ფედერაცია (81%), უკრაინა (8%) და სომხეთი (4%). იმავე წლის მონაცემებით ექსპორტი განხორციელდა ევროკავშირის წევრ მხოლოდ ორ ქვეყანაში – ლიტვასა და ლატვიაში. ექსპორტის მოცულობა ამ ორ ქვეყანაში სულ 118 ტონა იყო. სექტორის ყველაზე დიდი პრობლემა დაბალი საშუალო მოსავლიანობაა, რომელიც მკვეთრად ჩამოუვარდება წამყვანი ქვეყნების მონაცემებს. იმერეთში პომიდვრის წარმოებაში დიდწილად ჩართულები არიან მცირე ფერმერე-

1 პომიდვრის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები(MOA)

2 www.freshplaza.com

3 Trademap.org



ბი, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ამუშავენ 1 ჰექტარზე ნაკლებ მიწას და ოჯახის წევრების დახმარებით ასრულებენ შემდეგ საქმიანობებს: მოხვნას, კულტივაციას, პომიდვრის დარგვას, სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებას და ასე შემდეგ. აუცილებელია, გაიზარდოს ფერმერების ხელმისაწვდომობა ხარისხიან ნედლეულსა და ასევე საჭირო ინფორმაციაზე.

იმისათვის, რომ პომიდვრის ექსპორტი წარმატებით განხორციელდეს, ევროპის ბაზარზე აუცილებელია საშუალო მოსავლიანობის გაზრდა და პომიდვრის წარმოების თვითღირებულების შემცირება. ასევე სტანდარტების შესაბამისად ყველა იმ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე წარმატებული ექსპორტის საწინდარია.

# 1. შესავალი

## 1.1 კვლევის მიზანი

პროექტის მთავარი მიზანია იმერეთის რეგიონში პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. მოცემული კვლევა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს პომიდვრის წარმოების პოტენციური საქართველოში და უფრო კონკრეტულად იმერეთში. კვლევა ასევე ფოკუსირებას ახდენს ევროკავშირის ბაზარზე და განიხილავს პომიდვრის საექსპორტო პოტენციალს. კვლევის მიზანია, რომ მოახდინოს პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა, დაწყებული პომიდვრისთვის საჭირო ნედლეულის მოწოდებიდან, დასრულებული საბოლოო მომხმარებელით. მნიშვნელოვანია მთლიან ჯაჭვში მოხდეს იმ უპირატესობებისა და შეზღუდვების გამოვლენა, რომლითაც ხასიათდება დღესდღეობით სექტორი, მოხდეს აქცენტების გაკეთება იმ პრობლემებზე, რომლებიც არსებობს სექტორში. ასევე ღირებულებათა ჯაჭვის ერთ-ერთი კომპონენტია კვლევაზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება, რაც შემდგომ ნაადგება დარგის განვითარებას.

კვლევის მიზნების მისაღწევად, პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ფარგლებში, მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი ფაქტორები:

- პომიდვრის წარმოებასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები;
- შიდა ბაზრის სრულად ათვისებასთან და იმპორტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ფაქტორები;
- ევროპის ბაზარზე პომიდვრის ექსპორტის პოტენციალი;
- პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის SWOT ანალიზი.

ამასთანავე, კვლევის მიზანია ადგილობრივ დონეზე – რეგიონში და მუნიციპალიტეტებში – სა-მოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაციები ჩართულები იყვნენ კვლევის ყველა ეტაპზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევა არის ერთ-ერთი პირველი სიღრმისეული ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი პომიდვრის სექტორის შესახებ. ეს კვლევა დაეხმარება ამ დარგით დაინტერესებულ მხარეებს, იქნებიან ისინი მწარმოებლები, სახელმწიფოს წარმომადგენლები, დონორები თუ სხვა მონაწილეები. ვიმედოვნებთ, რომ ეს კვლევა საფუძველს დაუდებს სხვა სიღრმისეულ კვლევებს ამ მიმართულებით.

## 1.2 პროდუქტის წარმოების მნიშვნელობა

საქართველოში პომიდორი ყველა რეგიონში მოჰყავთ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სამეურნეო კულტურა. პომიდორი არის ყველაზე მოხმარებადი და პოპულარული ბოსტნეული მსოფლიოში.<sup>4</sup> მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემი საქართველოსთვის არ არსებობს, გასაკვირი არ იქნება, თუ ეს ფაქტი საქართველოსთვისაც სწორი აღმოჩნდება.

4 <https://www.worldatlas.com/articles/the-most-popular-vegetables-in-the-world.html>

როგორც მსოფლიოში, საქართველოშიც პომიდორს მთელი წლის განმავლობაში მოიხმარენ, როგორც პირველადი სახით, ასევე გადამამუშავებულსაც. საქართველოში პოპულარობით სარგებლობს პომიდვრისგან დამზადებული პროდუქტები, როგორცაა ტომატი, სანეხელი, სოუსი და ასევე სხვადასხვა კერძის დამზადებაშიც აქტიურად გამოიყენება.

როდესაც ვსაუბრობთ პროდუქტის წარმოების მნიშვნელობაზე, საინტერესოა დავაკვირდეთ რამდენიმე ინდიკატორს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იმერეთის რეგიონში თვითდასაქმების დონე საკმაოდ მაღალია – დაახლოებით 64% და აქედან მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ამ ადამიანების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის პროდუქციას აწარმოებს საკუთარი მოხმარებისათვის და გარკვეული ნაწილის რეალიზაციას ახდენს.

უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონში როგორც ნათესი ფართობების, ასევე წარმოების მოცულობის მიხედვით, პომიდორი წამყვან ერთწლოვან კულტურას წარმოადგენს.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე, ეს კულტურა საკმაოდ მნიშვნელოვანია რეგიონის მოსახლეობისთვის და ბევრი ადამიანის შემოსავლის დიდი ნაწილი დამოკიდებულია პომიდვრის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალზე. ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც ჩართულია ამ სექტორში, მნიშვნელოვანია ამ დარგის განვითარება. დარგის წინსვლა და განვითარება გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილე ყველა რგოლის ფერმერის, შუალედური რგოლების განვითარებას. ეს ყველაფერი საბოლოოდ გამოიწვევს უფრო მეტი ღირებულების გენერირებას ჯაჭვში. დარგის განვითარება და ევროკავშირის ბაზრის ათვისება ბევრად გაზრდის ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების შემოსავლებს, რაც, საბოლოოდ, მათ კეთილდღეობაზე დადებითად აისახება.

### 1.3 ევროკავშირთან ვაჭრობის (DCFTA) უპირატესობები

საქართველოში წარმოებული პომიდვრის გასაღების ძირითად ბაზრად დღესდღეობით კვლავაც პოსტსაბჭოთა სივრცე რჩება. ქართული პომიდვრის ექსპორტისთვის ტრადიციული ბაზრებია მეზობელი ქვეყნები: რუსეთი, უკრაინა, სომხეთი. პომიდვრის მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 97% ხორციელდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებზე. ეს ის ბაზრებია, სადაც ქართული პროდუქცია უკვე კარგად ცნობილია და, შესაბამისად, ექსპორტი ამ ქვეყნებში ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს. საქსტატის მონაცემებით 2017 წელს პომიდვრის ექსპორტის დიდი წილის (81%) გატანა მოხდა რუსეთში. იმავე წლის მონაცემებით ექსპორტი განხორციელდა ევროკავშირის წევრ მხოლოდ ორ ქვეყანაში – ლიტვასა და ლატვიაში. ექსპორტის მოცულობაში ორივე ქვეყანაში სულ 118 ტონა შეადგინა.

მეტად მნიშვნელოვანია ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით რეალური შედეგები, რომლის მოტანაც შეუძლია ევროკავშირთან უკვე ხელმოწერილ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებას. საქართველოსთვის და პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული მხარეებისთვის მნიშვნელოვანია, დაინახონ ის შესაძლებლობები, რომელთაც მათ ევროკავშირის ბაზარი სთავაზობს. ევროკავშირის ბაზარი, პირველ რიგში, ფერმერებს სთავაზობს უფრო მაღალ ფასს, მაღალხარისხიანი პროდუქციის სანაცლოდ. მნიშვნელოვანია, ქართველმა მწარმოებლებმა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, რათა შეძლონ ევროკავშირის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შედეგად საქართველოს მოქალაქეებს წვდომა ექნებათ, გაუმჯობესებული ხარისხის პროდუქციასთან შიდა ბაზარზე. ევროკავშირის ბაზარზე გაყიდული პროდუქცია, საბოლოო ჯამში, მოიტანს უფრო მაღალ შემოსავლებს და მათ გაეზრდებათ შანსი ახალი ბიზნესშესაძლებლობებისათვის. შესაბამისად, გაზრდილი ბიზნესშესაძლებლობები დაკავშირებულია დასაქმებისა და ხელფასების ზრდასთან.

<sup>5</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემები, 2017 წელი

## 2. კვლევის მეთოდოლოგია

### 2.1 მეთოდოლოგია

პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის სტანდარტული მეთოდები. ეს მეთოდები გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვის შემდეგ ხარისხობრივ ინსტრუმენტებს:

- ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა, რაც ნიშნავს ჩატარებული ინტერვიუების, სავსე სამუშაოებისა და პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მნიშვნელოვანი პროცესისა და მონაწილის, აგრეთვე მათ შორის არსებული პროცესების იდენტიფიცირებასა და ასახვას სპეციალურ ფორმაში (Grid Map)<sup>6</sup>;
- პომიდვრის სექტორთან დაკავშირებული მმართველობის, კოორდინაციისა და კონტროლის მექანიზმების ანალიზი, რაც გულისხმობს პომიდვრის სექტორში არსებული სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციების, მარეგულირებელი ნორმებისა და სტანდარტების ანალიზსა და შეფასებას.

ასევე კვლევაში გამოყენებულია ღირებულებათა ჯაჭვის შემდეგი რაოდენობრივი ინსტრუმენტები: ხარჯებისა და ნამატების ანალიზი, პომიდვრის წარმოებისას ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლში შექმნილი დამატებითი ღირებულების განსაზღვრა, ჯაჭვის თითოეული მონაწილისთვის. ეს გულისხმობს ხარჯების, მოგების, შემოსავლების განსაზღვრას ჯაჭვში; ჯაჭვში შემოსავლების გადანაწილების ანალიზი, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვადასხვა აქტივობებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების განსაზღვრას; ჯაჭვის თითოეულ რგოლში დასაქმების მაჩვენებლების გადანაწილების ანალიზი და, ზოგადად, დასაქმების პოტენციალის განსაზღვრა.

#### 2.1.1 საოფისე სამუშაოები

საოფისე სამუშაოები მოიცავდა ყველა იმ არსებული ლიტერატურის, კვლევების, სტატიების, ანგარიშების მიმოხილვას, რაც კი აქამდე ჩატარებულა პომიდვრის წარმოების დაკავშირებით. შესწავლილ იქნა ყველა ის სახელმწიფოს სტრატეგიული დოკუმენტი,<sup>7</sup> რომლებიც რეგულაციური იყო მოცემული კვლევისთვის. ასევე გაანალიზდა არსებული სტატისტიკური მონაცემები, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონულ დონეზე. ასევე გამოკვლეულ იქნა დღეის მდგომარეობით პომიდვრის წარმოების კუთხით მონაწილე ქვეყნები, პომიდვრის ყველაზე დიდი ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები. საოფისე სამუშაოების დროს მოხდა შემდეგი სახის ინფორმაციების მოძიება და შემდგომი ანალიზი:

- პომიდვრის მახასიათებლები და წარმოშობის ისტორია;
- წარმოება საერთაშორისო დონეზე;
- ფასები;
- ვაჭრობის სტატისტიკა (ექსპორტ/იმპორტის მოცულობა, ღირებულება, პარტნიორი ქვეყნები);
- ევროკავშირის ბაზრის მახასიათებლები.

6 Grid Map – ეს არის რუკა რომელიც ასახავს ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილეს და ასევე მასზე მოქმედ ყველა გარე ფაქტორს

7 იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021; პომიდვრის აგროტექნოლოგია, MoA 2015

## 2.1.2 სპეკულური სამუშაოები

პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებთან ჩატარდა პირისპირ ინტერვიუები. ინტერვიუების ჩატარების დრო მოიცავდა 2018 წლის დეკემბრიდან ივლისის ჩათვლით პერიოდს. რესპონდენტების შერჩევა მოხდა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. კვლევის ფარგლებში ჩატარდა როგორც პირისპირ, ასევე სატელეფონო ინტერვიუები პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებთან: ფერმერებთან, აგრომაღაზიებთან, ექსპერტებთან, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

კვლევის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) წარმომადგენლებმა ჩაატარეს 20 პირისპირ ინტერვიუ,<sup>8</sup> ასევე, ჩატარდა 5 სატელეფონო ინტერვიუ. ინტერვიუები ჩატარდა წინასწარ შედგენილი კითხვარებით ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლისთვის, რომლის მიხედვითაც ტარდებოდა კონკრეტული გამოკითხვები.

სულ კვლევის განმავლობაში ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფის შეხვედრა. პირველი შეხვედრა წარმოადგენდა საპილოტე ფოკუს ჯგუფს, რომელიც ჩატარდა ქუთაისში. შეხვედრას ესწრებოდნენ დაინტერესებული მხარეები და მოხდა დარგის მდგომარეობის მიმოხილვა და გაკეთდა პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის პირველადი მონახაზი.

ამის შემდგომ CSO-ების წარმომადგენლებს კონკრეტულ მითითებები მიეცათ ფოკუს ჯგუფთან დაკავშირებით და მოხდა ფოკუს ჯგუფის გზამკვლევის დახვეწა, რომელიც გამოყენებულ იქნა შემდგომ ფოკუს ჯგუფებში. შემდგომი ორი შეხვედრა ჩატარდა თერჯოლაში და ერთი კი ქუთაისში. საშუალოდ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა რაოდენობა 8-9 ადამიანია. მონაწილეები იმერეთის სხვადასხვა სოფლებს წარმოადგენდნენ.

## 2.2 კვლევის შეზღუდვები

კვლევის მთავარ შეზღუდვად შეიძლება დასახელდეს არასაკმარისი რესურსი, უფრო მასშტაბური კვლევის ჩასატარებლად. ჩატარებულია ინდივიდუალური ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედარებით მცირე რაოდენობა, რაც არ იძლევა შეგროვილი მონაცემების განზოგადების საშუალებას, თუმცა ჩატარებული სხვადასხვა სამუშაოები საკმარისია სხვადასხვა დასკვნის და ანალიზის გასაკეთებლად, რაც წარმოდგენილია კვლევაში.

კვლევის კიდევ ერთი შეზღუდვაა სტატისტიკური ინფორმაციის სიმწირე. კვლევაში გამოყენებულია როგორც ოფიციალური მონაცემები, ასევე არაოფიციალური ოპერატიული მონაცემები, რომელიც მონოდებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ეს მონაცემები ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს არ ემთხვევა, მათ შორის დიდი განსხვავებაა.

პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის მოცემული ანალიზი არის ერთ-ერთი პირველი სიღრმისეული ანალიზი პომიდვრის სექტორში. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ანგარიში გააღრმავებს ამ კულტურისადმი ინტერესს და საფუძველს ჩაუყრის სხვა უფრო მასშტაბურ კვლევებს.

<sup>8</sup> იხილეთ დანართი 1


## 3. პომიდვრის საქართველოს კლდეზე საქართველოში

### 3.1 ქვეყანაში პომიდვრის წარმოების მიმოხილვა

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2016 მონაცემების მიხედვით, პომიდვრის მწარმოებელ 175 ქვეყანას შორის, წარმოების მოცულობით საქართველო 92-ე ადგილზეა. საქართველოში პომიდვრის გავრცელება მოხდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში პომიდვრის წარმოება კლების ტენდენციით ხასიათდება. 2017 წელს საქართველოში იწარმოვა 49 900 ტონა პომიდორი და ეს მაჩვენებელი დაახლოებით 8%-ით ნაკლებია, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (54 100 ტონა) შედარებით. ინტერვიუებზე და ფოკუს ჯგუფებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს შემცირება განპირობებული იყო ამინდის ცვალებადობით და ბოლო პერიოდში გავრცელებული მავნებლებით (აზიური ფაროსანა)<sup>9</sup>, რომელმაც დიდი გავლენა იქონია, ზოგადად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

#### დიაგრამა 1: პომიდვრის წარმოება საქართველოში ყველა ტიპის მეურნეობაში(ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში პომიდვრის მწარმოებელი ძირითადი რეგიონებია: ქვემო და შიდა ქართლი, კახეთი და იმერეთი. ადგილობრივი პომიდვრის მიწოდება ბაზარზე ივნისის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე ან ოქტომბრის დასაწყისამდე ხდება. ადგილობრივი პომიდორი არასეზონურ ხელმისაწვდომია, მხოლოდ მცირე რაოდენობით. პომიდორი არასეზონურ ინარმოება დახურულ გრუნტში(სათბურში).

სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევხედავთ, პომიდვრის ნათესი ფართობის და აღებული ფართობის მიხედვით იმერეთი არის მეოთხე, ყველაზე დიდი პომიდვრის მწარმოებელი რეგიონი საქართველოში. იმავე მაჩვენებლით წამყვანი პოზიცია უჭირავს შიდა ქართლს, სადაც ითესება მთლიანი რაოდენობის თითქმის მესამედი.

**ცხრილი 1: პომიდვრის ნათესი და აღებული ფართობი რეგიონების მიხედვით (ჰექტარი)**

	პომიდვრის ნათესი ფართობი		პომიდვრის აღებული ფართობი	
	2016	2017	2016	2017
საქართველო	5000	4300	4700	4000
<b>იმერეთი</b>	<b>400</b>	<b>400</b>	<b>400</b>	<b>400</b>
კახეთი	800	900	800	800
სამეგრელო-ზემო სვანეთი	400	400	300	300
ქვემო ქართლი	1000	900	1000	900
შიდა ქართლი	1800	1100	1700	1100
დანარჩენი რეგიონები	500	500	500	500

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, ქვეყანაში 381 560 მეურნეობა არის ჩართული ბოსტნეულის წარმოებაში.<sup>10</sup> აქედან, 21.5% (82 668 მეურნე) – ყველაზე მეტი მდებარეობს იმერეთის რეგიონში. უმეტესობა (82.5%) ფლობს 0.1 ჰექტრამდე ბოსტნეულის ნათეს ფართობს, ხოლო 3 ჰექტარზე მეტი პლანტაცია მხოლოდ 1 356 მეურნეობას გააჩნია. შემდეგი ყველაზე გავრცელებული ფართობი, სადაც ბოსტნეულია დათესილი, არის 0.10-დან 0.49-მდე ჰექტარი, რომელიც ბოსტნეულის ბაღჩის მფლობელი მეურნეობების 15.9%-ს გააჩნია.

საინტერესოა პომიდვრის წარმოებას შევხედოთ რეგიონების მიხედვით. წარმოების რაოდენობის მიხედვით იმერეთი მესამე ყველაზე დიდი რეგიონია საქართველოში. 2017 წელს იმერეთში იწარმოვა 5.5 ათასი ტონა პომიდორი. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს რეგიონებში წინა წელთან შედარებით ფიქსირდება წარმოებული პროდუქტის რაოდენობის კლება. როგორც უკვე აღინიშნა, სავარაუდოა, რომ შემცირება გამოწვეულია, ამინდის ცვალებადობით და მავნებლების გავრცელების გამო.

**ცხრილი 2: პომიდვრის წარმოება რეგიონების მიხედვით (ტონა)<sup>11</sup>**

	2016	2017
საქართველო	54 100	49 900
აჭარის არ	8 00	1 000
<b>იმერეთი</b>	<b>5 700</b>	<b>5 500</b>
კახეთი	5 800	4 100
მცხეთა-მთიანეთი	800	400
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2 400	4 400
ქვემო ქართლი	19 800	19 000
შიდა ქართლი	17 100	13 200
სხვა რეგიონები	1 700	2 300

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<sup>10</sup> ბოსტნეული - მწვანელი, ბადრიჯანი, კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, ჭარხალი, სტაფილო, ხახვი ბოლქვად, ნიორი, ბოლოკი, წინაკა, მწვანე ლობიო, მწვანე ბარდა, ყაბაყი

<sup>11</sup> საშუალო მოსავლიანობა გაიანგარიშება მხოლოდ წმინდა ნათესებიდან მიღებული მოსავლის მიხედვით.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად პომიდვრის საშუალო მოსავლიანობა მთლიან საქართველოში არის 9.8 ტონა ჰექტარზე. ეს მონაცემი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე პომიდვრის წარმოებით წამყვანი ქვეყნების შესაბამისი მონაცემი. საშუალო მოსავლიანობა იმერეთში არის 5.6 ტონა ჰექტარზე, რაც საკმაოდ ჩამორჩება იმავე მაჩვენებელს მთლიანი ქვეყნისთვის. ყველაზე მაღალი მოსავლიანობა ფიქსირდება ქვემო ქართლში – 18.6 ტონა პომიდორი 1 ჰექტარზე.

### ცხრილი 3: პომიდვრის საშუალო მოსავლიანობა (ტონა/ჰექტარი)

	2016	2017
საქართველო	9.9	9.8
<b>იმერეთი</b>	<b>5.4</b>	<b>5.6</b>
კახეთი	5.9	4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.5	5.6
ქვემო ქართლი	18.5	18.6
შიდა ქართლი	9.4	11.3
დანარჩენი რეგიონები	5.4	6.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

### 3.2.1 პომიდვრის მახასიათებლები და ჯიშები

პომიდორი (*Lycopersicon esculentum*) ერთწლიანი, ორლებნიანი, ბალახოვანი მცენარეა ძალზე ყურძენასებრთა ოჯახიდან. იგი სითბოს მოყვარული მცენარეა. პომიდვრის მოყვანისთვის ოპტიმალური ჰაერის ტემპერატურაა 20-25 გრადუსი ცელსიუსი. ღია გრუნტში პომიდორი კარგად ვითარდება 18-20 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე. საადრეო ჯიშები უძლებენ ხანმოკლე ღამის აციებას 3-4 გრადუს ცელსიუსამდე. პომიდორი ყინვებს ვერ უძლებს, ნადგურდება. ასევე დახურულ გრუნტში 30 გრადუს ცელსიუსზე მაღალ ტემპერატურაზე ყვავილის მტვერი სტერილური ხდება და მსხმოიარობა ძალზე ქვეითდება.

პომიდვრის წარმოებისთვის ხელსაყრელია ნიადაგის მაღალი (60-70%) და ჰაერის დაბალი (60%-მდე) ფარდობითი ტენიანობა. ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა არ არის ხელსაყრელი, რადგან ასეთ პირობებში ვრცელდება სხვადასხვა დაავადება, რაც აფერხებს ყვავილების დამტვერვის პროცესს და საბოლოოდ უარყოფითად აისახება მოსავლის რაოდენობაზე. ასევე, ნიადაგის ტენიანობის მკვეთრი რყევა იწვევს ნაყოფის წვეროს სიდამპლეს. ამ კულტურის მოსაყვანად საუკეთესოა საკმარისად განოყიერებული და ტენით უზრუნველყოფილი ქვიშნარი და ქვიშიანი ნიადაგები, ასევე, სტრუქტურული, ნემომპალით მდიდარი, წყალგამტარი თვისებების მქონე მსუბუქი თიხნარები. (MoA, 2015)

პომიდვრის ჯიშები ერთიანდება სამ ძირითად ჯგუფად: დაბალმზარდი (დეტერმინანტული ტიპი), მაღალმზარდი (ინტერმინანტული ტიპი) და გარდამავალი ტიპი. დაბალმზარდი მცენარის ბუჩქი 50-70 სმ-ს აღწევს, მაღალმზარდისა კი 70 სმ-დან 500 სმ-მდე. რაც შეეხება გარდამავალს, იგი პირველსა და მეორე ტიპს შორისაა, იგი წააგავს დეტერმინანტულ ტიპს, თუმცა არის გამონაკლისებიც, რომლებიც უფრო ინტერმინანტულ ტიპს წააგავს.

პომიდვრის მოყვანა შესაძლებელია როგორც დახურულ, ისე ღია გრუნტზე. პომიდვრის ღია გრუნტზე დარგვის შემთხვევაში, მიწის მომზადება ხდება შემოდგომაზე და მიწის დამუშავებამდე ნიადაგში შეაქვთ სასუქები. სასუქის სახეობას და რაოდენობას განსაზღვრავს წინასწარჩატარებული



ნიადაგის ანალიზი. ღია გრუნტზე, ძირითადად, რგავენ დაბალმზარდ ჯიშებს. მანძილი მწკრივებს შორის უნდა იყოს 60-70 სმ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის 30-35 სმ-ის დაცილებით.

რაც შეეხება თესლბრუნვას, პომიდვრის საუკეთესო წინამორბედებია ხახვი, სტაფილო, კომბოსტო, პარკოსანი კულტურები. მოყვანა ერთი და იმავე ნაკვეთზე უნდა დაბრუნდეს 4-5 წლის შემდეგ, რათა არ მოხდეს დაავადებათა გავრცელება.<sup>12</sup>

სიცოცხლის ციკლის მიხედვით, გვხვდება ერთწლიანი და მრავალწლიანი სახეობები. არსებობს ჯიშები, რომელთა სავეგეტაციო პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს 100 დღემდე, საშუალო პერიოდია 105-120 დღე და ასევე, საგვიანო ჯიშებისთვის 120 დღეზე მეტი. პომიდვრის შეიძლება ნაყოფი სხვადასხვა ფორმის იყოს: მრგვალი, ელიფსური, მოგრძო, ოვალური, გულისებრი, ჩაზნექილი ფორმის ბრტყელი. ნაყოფი ასევე განსხვავდება ფერების მიხედვით. შესაძლებელია შეგვხვდეს წითელი, ვარდისფერი, ყვითელი, მუქი შინდისფერი და სხვა. პომიდვრის სხვადასხვა ჯიშის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოყვანილი 1-ელ ცხრილში.

პომიდორი შეიცავს შემდეგ ნივთიერებებს: 85-96% წყალს და 3,5-10,5% მშრალ ნივთიერებებს, რომელთა შორისაა ცილები (0,75-0,95%), ნახშირწყლები (1,7-6,4%), C ვიტამინი (15-40 მგ) და კალიუმი (316 მგ-მდე). პომიდორი ასევე შეიცავს შემდეგი სახის ვიტამინებს: A, B1, B2, B6, B9, C, E, K, PP ვიტამინებს და ბეტა კაროტინს, ვაშლის, ლიმნისა და ღვინის ორგანულ მჟავებს.<sup>13</sup>

**ცხრილი 4: პომიდვრის ჯიშები**

ჯიშის სახელწოდება	წარმოშობა	დახასიათება
ჭოპორტულა	მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სოფ. ჭოპორტი. ადგილობრივი ჯიშია. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, როგორც დაბლობ ნაწილში, ასევე მთაგორიანში.	საშუალო-საგვიანო, ხალხური სელექციით მიღებული ჯიში, მაღალმზარდი, ინდეტერმინანტული. ნაყოფის ფერი წითელია. მწიფე ნაყოფის საშუალო წონაა 130 გრ. მოსავლიანობა – 42-44 ტონა ჰექტარზე.
საადრეო	ქვემო ქართლის რეგიონი, სართიჭალა. რეკომენდებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გასაფრცხვლებლად.	საადრეო ჯიში, აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე მცენარეს სჭირდება 70 დღე. მოსავლიანობა – 60 ტონა ჰექტარზე.
კოლხიდელი	იმერეთის რეგიონი, ქუთაისი-ტყაჩირი. გავრცელებულია ქვემო იმერეთში: ვანის, ზესტაფონის, ბაღდათის, თერჯოლის, ხონის, წყალტუბოს რაიონებში.	საშუალო-საადრეო სიმწიფის ჯიში. აღმოცენებიდან ნაყოფის მომწიფებამდე სჭირდება 110-120 დღე. აქვს კარგი გემური თვისებები.
არაგვი	მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, წეროვანი. გავრცელება – შიდა ქართლის სარწყავი რაიონები.	საგვიანო ჯიში, აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე მცენარეს სჭირდება 131 დღე. სიცივის ამტანია და მოსავალს იძლევა ნოემბრამდე. მოსავლიანობა 34-46 ტონა ჰექტარზე
ვარდისფერი ჭოპორტულა	სამეგრელოს რეგიონი. გავრცელებულია ზუგდიდისა და ხობის რაიონების დაბლობ ნაწილში და III ზონაში ვანისა და ტყიბულის რაიონების დაბლობ ნაწილში.	საშუალო-საგვიანო, სიცივის ამტანი ჯიში. მოსავალს იძლევა ოქტომბრის ბოლომდე. მოსავლიანობა 16-50 ტონა ჰექტარზე
ჯინა	პოლანდიური ჯიში, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ყველაზე ადაპტირებული და პოპულარული ჯიში.	ღია გრუნტის დეტერმინანტული (დაბალმზარდი) ტიპის, სასალათე პომიდორი. მოსავალს დათესვიდან 110-120 დღეში იძლევა, ნაყოფი არის ტრანსპორტირების ამტანი, კარგი გემოვნური თვისებების, საშუალო ზომის, წონით 180-200 გრამი.

წყარო: Agrokavkaz.ge, MoA

12 პომიდვრია აგროტექნოლოგია, MoA 2015

13 <http://agrokavkaz.ge/agroplus/pomidvr-sasargeblo-thvisebebi-miirthwith-meti-pomidori.html>

როგორც ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოვლინდა, ჯიშების მიხედვით ფასებს შორის მცირედი სხვაობაა, თუმცა გაანგარიშებებში ვიღებთ საშუალო ფასს პომიდორზე და არ განვასხვავებთ ჯიშების მიხედვით.

### 3.2 რეგიონში პროდუქტის წარმოების მიმოხილვა

იმერეთში საკმაოდ მაღალია თვითდასაქმებული მოსახლეობის რიცხვი, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 63-65%-ს შეადგენს. ეს ყველაფერი განპირობებულია საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სექტორში ჩართულობის მაღალი ხვედრითი წილით. იმერეთის მოსახლეობის 48% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში.<sup>14</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმერეთის რეგიონმა, ისევე როგორც დანარჩენმა რეგიონებმა, საქართველოში დაკარგა თავისი ნიშა. აგროსექტორისთვის დაიკარგა გასაღების ბაზრები და ეს გახდა ბევრი სექტორის ჩამოშლის ერთ-ერთი მიზეზი. ამ ყველაფერმა განაპირობა ბევრი დარგის პროდუქტიულობის კატასტროფული შემცირება და მნიშვნელოვანი ცოდნის დაკარგვა სხვადასხვა მიმართულებით.

დღესდღეობით, იქიდან გამომდინარე, რომ იმერეთის რეგიონში თვითდასაქმებულთა დაახლოებით 65% კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში, იმას გულისხმობს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვანია ის შემოსავლები, რომელსაც იღებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ნაწილი სასოფლო პროდუქციას აწარმოებს საკუთარი მოხმარებისთვის და ნაკლებადაა ორიენტირებული სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე.


იმერეთში არსებობს ბოსტნეულისა და კონკრეტულად პომიდვრის წარმოების მრავალწლიანი ტრადიცია, შესანიშნავი კლიმატური პირობები და ასევე უკვე კარგად ცნობილი და ათვისებული პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ბოსტნეულის წარმოების განვითარებას იმერეთში. მიუხედავად ამისა, მოსავლიანობა დაბალია, რაც არამოგებიანს ხდის პომიდვის წარმოებას. დარგში არსებულ პრობლემებს დეტალურად განვიხილავთ მომდევნო თავებში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (წყალტუბო, ხონი და სამტრედია) კარგად არის განვითარებული სასათბურე ინფრასტრუქტურა, თუმცა მათი მასშტაბი მაინც მცირეა. ეს განპირობებულია იმით, რომ სასათბურე მეურნეობის ჩამოყალიბება დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ხელმისაწვდომი არ არის მცირე ფერმერებისათვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მონოდებული ოპერატიული მონაცემების მიხედვით, წარმოების მოცულობით პომიდორი წამყვანი ერთწლიანი კულტურაა იმერეთის რეგიონში. ერთწლიან კულტურებში წარმოების მოცულობის სიდიდით მას მოჰყვება საზამთრო და კიტრი.

<sup>14</sup> იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021

**ღიაბრამა 2: იმერეთის რეგიონში ერთწლიანი კულტურების მოსავალი(2017 წელი)**



წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მონოდებული ოპერატიული მონაცემები

საინტერესოა, დავაკვირდეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მონოდებულ ოპერატიულ მონაცემებს, რომელიც არ არის ოფიციალური, თუმცა ძირითადი ტენდენციების დანახვაში დაგვეხმარება. ეს მონაცემები მოიცავს იმერეთის რეგიონში პომიდვრის ნათეს ფართობს და მოსავალს მუნიციპალიტეტების მიხედვით. იმერეთში ერთწლიანი კულტურებით ნათესი ფართობის 22%-ს წარმოადგენს პომიდორი, რაც იმის მანიშნებელია, რომ პომიდორი მნიშვნელოვანი ერთწლიანი კულტურაა იმერეთის რეგიონისათვის.

**ცხრილი 5: პომიდვრის მოსავალი და ფართობები, იმერეთის რეგიონი (2017 წელი)**

ადმინისტრაციული ერთეული	სულ ერთწლიანი კულტურებით ნათესი ფართობები	ფართობი (ჰა)	მოსავალი (ტ/ჰა)
ბაღდათი	178.1	34.5	402.1
ვანი	878.0	121.0	847.0
ზესტაფონი	604.0	109.0	763.0
თერჯოლა	576.2	63.2	568.8
სამტრედია	1094.7	166.6	1249.5
საჩხერე	427.0	90.0	846.5
ტყიბული	119.0	44.0	528.0
წყალტუბო	2107.0	668.0	9334.0
ჭიათურა	375.0	82.5	433.8
ხარაგაული	380.0	120.0	600.0
ხონი	318.7	85.0	617.0
<b>სულ</b>	<b>7057.7</b>	<b>1583.8</b>	<b>16189.7</b>


წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მონოდებული ოპერატიული მონაცემები

# 4. Grid Map – ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეები

## 4.1 Flow chart

Grid Map-ზე ასახულია პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვი, რომელიც შედგება შიდა და გარე ფაქტორებისაგან. ორივე მათგანი, ისევე როგორც მთლიანი ჯაჭვის ასახვა, დეტალურად არის განხილული ქვემოთ. ჯაჭვში ასახულია რგოლები, დანყებული სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მომწოდებლებიდან, დასრულებული მომხმარებლით. ფერმერი/მწარმოებელი, ძირითადად, თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს შუამავალზე და ბითუმად მოვაჭრეზე. ხშირ შემთხვევაში, ფერმერები თავად ახდენენ პროდუქციის ტრანსპორტირებას ბაზრამდე. შემდეგი რგოლი შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის ბაზრები, მარკეტები. ყველაზე დიდი ბაზარი რეგიონში პომიდვრის სარეალიზაციოდ არის ქუთაისის ბაზარი. ასევე ასახულია გარე ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ღირებულებათა ჯაჭვზე, ესენია: საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები, დონორები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ფინანსური ინსტიტუტები, კვლევითი ორგანიზაციები და სახელმწიფო უწყებები.

**ღიაბრამა 3: პომიდვრის არსებული ღირებულებათა ჯაჭვის ასახვა (Grid Map)**



## 4.2 ლაბორატორიები, თესლის, მხენარეთა დაცვის საშუალებების, სასუქების და ტექნიკის მოწოდებლები

უპირველეს ყოვლისა, სანამ პომიდორი დაირგვება და მიწა დამუშავდება/განოყიერდება, უნდა მოხდეს ნიადაგის ანალიზი. თუმცა, კვლევიდან გამოვლინდა, რომ გამოკითხული ფერმერების უმრავლესობა ნიადაგის ანალიზს არ აკეთებს. ხშირ შემთხვევაში, ფერმერები პრობლემად ასახელებენ მიწის ანალიზის სიძვირეს და ფინანსების არქონას, რათა ჩაატარონ აღნიშული ღონისძიება წარმოების დაწყებამდე. უამრავი ძალისხმევა ეხარჯებათ ფერმერებს, როდესაც ცდილობენ სასუქებით გაზარდონ მოსავალი და ამ მცდელობას არ მოაქვს სასურველი შედეგი იმის გამო, რომ ნიადაგის ანალიზი არ არის გაკეთებული. ნიადაგის ანალიზის საშუალო ღირებულება ლაბორატორიებში 100 ლარია.

ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად აქვთ ფერმერებს ხელმისაწვდომობა საჭირო ნედლეულზე. კვლევიდან გამოვლინდა, რომ იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში არსებობს აგრონედლეულის მაღაზიები, სადაც ხელმისაწვდომია პომიდვრის მწარმოებლებისთვის საჭირო საშუალებები. დღესდღეობით რეგიონში, შხამქიმიკატების საკმაოდ ბევრი შემომტანი და დისტრიბუტორ-გამსაღებელია. თუმცა, ფერმერები აღნიშნავენ, რომ პრეპარატების ხარისხი და ფასი ერთმანეთთან, ხშირ შემთხვევაში, შეუსაბამოა. გამოვლინდა, რომ ხშირად, ნაყიდი საშუალებების (სასუქები, პესტიციდები) არაეფექტურია მავნებლებთან და დაავადებებთან საბრძოლველად. ასევე პრობლემად დასახელდა ის, რომ აგრომაღაზიებში გამყიდველებს არ შეუძლიათ კვალიფიციური რეკომენდაციების გაცემა და ფერმერები არ ენდობიან მათ. რაც შეეხება ნედლეულზე ხელმისაწვდომობას, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ მაღაზიებში ბიონედლეულის არჩევანის სიმწირეა. ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ მოთხოვნა ბიოპროდუქციაზე ნაკლებია და, შესაბამისად, მაღაზიები ნაკლებად მარაგდებიან ზემოთ ხსენებული პროდუქციით.

ინტერვიუების და ფოკუს ჯგუფების შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ფერმერებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა მაღალხარისხიან სათესლე მასალაზე და, ხშირ შემთხვევაში, მათ თავად უწევთ შეამომონ შეძენილი თესლის ვარგისიანობა. არ არსებობს აკრედიტებული საჩითილე, საიდანაც შეძლებდნენ წინასწარშერჩეული ჯიშების შეძენას. ძირითადად, ფერმერები ყიდულობენ იმპორტირებულ ნედლეულს. კონსულტაციებს სხვადასხვა საშუალებაზე ადგილზე იღებენ, თუმცა ხშირად მიღებული ინფორმაციით კმაყოფილები არ არიან და კომპეტენტური კადრების ნაკლებობას უჩივიან.

რაც შეეხება ტექნიკას, რეგიონში არსებობს სახელმწიფო მექანიზაციის ცენტრი „მექანიზატორი“.<sup>15</sup> იმერეთში ასეთი ცენტრები მდებარეობს ზესტაფონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში. ასევე არსებობს კერძო პირები/კოოპერატივები, რომლებიც აქირავებენ ტექნიკას. თუმცა, ტექნიკასთან ხელმისაწვდომობა მაინც დაბალია და არასაკმარისი ტექნიკის გამო, ხშირად ფერმერები ვერ ახერხებენ აგროვადების დაცვას.

## 4.3 ფერმერები

როგორც უკვე აღინიშნა, პომიდვრის წარმოება ხდება ღია გრუნტზე და ასევე სათბურებში. სათბურში წარმოება უპირატესობას წარმოადგენს პომიდვრის მწარმოებლისათვის, რადგან ღია გრუნტზე წარმოება ბევრ რისკებთანაა დაკავშირებული. ღია გრუნტის ბოსტნეულის მოყვანა დიდი გა-

15 <http://mechanization.ge/Ge/ServiceCenters>

მონვევა კარგი ტემპერატურის, ტენიანობის, მზის და, მათ შორის, კარგი ნიადაგის პირობებშიც. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პომიდვრის წარმოება თანდათან ინაცვლებს ღია გრუნტიდან დახურულ გრუნტში. რასაკვირველია, სათბურში წარმოების შემთხვევაში, ფერმერებს საშუალება ეძლევათ, მთელი წლის განმავლობაში მიაწოდონ ახალი პომიდორი ბაზარს. უნდა აღინიშნოს, რომ არასეზონზე ქართულ პომიდორზე მოთხოვნა მაღალია და, შესაბამისად, ადგილობრივად წარმოებული პომიდვრის ფასი აღემატება იმპორტირებული პომიდვრის ფასს. მოთხოვნას ქართულ პომიდორზე ვერ აყმაყოფილებენ ადგილობრივი ფერმერები და, ძირითადად, ბაზარზე არასეზონზე გვხვდება იმპორტირებული პროდუქცია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სათბურის გათბობა დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, რაც ხელმისაწვდომი არ არის ბევრი ფერმერისთვის იმერეთში. სათბურების უმეტესობა გაკეთებულია კუსტარულად და არ შეესაბამება საჭირო სტანდარტებს. შესაბამისად, მოსავლიანობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

პომიდორს, ძირითადად, აწარმოებენ მცირე ფერმერები, რომელთაც პომიდორი დარგული აქვთ 0.1-2 ჰექტარ ფართობზე. ინტერვიუებიდან და ფოკუს ჯგუფებიდან გამოვლინდა, რომ იმერეთის რეგიონის სოფლებში თითქმის ყველა მოსახლეს პომიდორი მცირე ფართობზე აქვს დარგული (>0.1 ჰექტარი). მცირემინიანი გლეხების დიდი ნაწილი პროდუქტს საკუთარი მოხმარებისთვის იყენებს ან მონეული მოსავლის ნაწილს ბაზარში ყიდის. ძირითადად, ეს ფერმერები ოჯახის წევრების დახმარებით ასრულებენ შემდეგ სამუშაოებს: მოხვნას, კულტივაციას, სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებას, მოსავლის აღება-შენახვას და რეალიზაციას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სულ იმერეთის რეგიონში ასეთი მცირე, საოჯახო სათბური არის 469, სადაც პომიდორთან ერთად სხვა კულტურებიც არის დარგული. საშუალოდ ამ სათბურების ზომა მერყეობს 200 კვადრატული მეტრიდან 1.5 ჰექტარამდე. სამწუხაროდ, არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის პომიდორი იწარმოება ამ სათბურებში. თუმცა, კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ, სათბურების უმეტესობა ზამთრის პერიოდში პომიდვრის წარმოებიდან ინაცვლებს მწვანე ნარმოებაზე.

იმერეთში 116 რეგისტრირებული კოოპერატივია; მათგან 36% უკავშირდება ნათესებსა და ნერგებს (მათ შორის სათბურები).

ერთი-ერთი ყველაზე დიდი სასათბურე მეურნეობა იმერეთის რეგიონში არის „იმერეთი გრინერი“ (Imereti Greenery). „იმერეთი გრინერი“ წარმოადგენს ქართულ-ჰოლანდიურ სანარმოს, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სათბურმა დაფინანსება მიიღო EBRD-ის პროგრამა „კონსულტაცია მცირე ბიზნესისათვის“, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ EU4Business ინიციატივის ფარგლებში. სასათბურე მეურნეობა გაშენებულია 2 ჰექტარ ფართობზე. სათბურში პომიდვრის წარმოება ხდება ჰიდროფონიკის სისტემაზე. ეს სისტემა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მეთოდია და მცენარის უნიადაგოდ მოყვანას გულისხმობს. სათბურის გასათბობად გეოთერმულ წყაროებს იყენებენ. „იმერეთი გრინერის“ სათბურში მოყვანილი ბოსტნეულით მარაგდება ცნობილი სუპერმარკეტების ქსელები და მაღალი კლასის სასტუმროები. სათბურში დასაქმებულია დაახლოებით 55 ადგილობრივი მაცხოვრებელი.

ასევე იმერეთში მდებარეობს მწვანელების ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი სასათბურე „ჰერბია“.<sup>16</sup> „ჰერბია“ საქმიანობა დაიწყო 2006 წელს. სანარმოს სათბურები წყალტუბოში 3 ჰექტარზეა გაშენებული. კომპანიას მონეობილი აქვს საწყობი-მაცივარი და დასაფასოებელი საამქრო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და სანარმოო ხაზებით. სათბურში მოჰყავთ მწვანელები, პომიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული. უნდა აღინიშნოს, რომ „ჰერბია“ ფლობს „Global Gap“-ის სერტიფიკატს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ჰერბია“ აერთიანებს სრულ სანარმოო ჯაჭვს დაწყებული წარმოებიდან, დასრულებული სუპერმარკეტში დისტრიბუციამდე. „ჰერბიას“ პროდუქცია წარმოდგენილია თითქმის ყველა დიდ სუპერმარკეტში საქართველოს მასშტაბით.

<sup>16</sup> <http://www.herbia.ge/>

## 4.4 სუსობები/სამაცივრები/გადაამუშავებლები

ფერმერები ცდილობენ აღებული პომიდორი სწრაფად გაყიდონ, მისი მალფუჭებადობის გამო. კვლევებიდან გამოვლინდა, რომ უმეტესობა მუნიციპალიტეტებში არ არსებობს გადამამუშავებელი და სამაცივრე მეურნეობა. შესაბამისად, ფერმერები ცდილობენ მოსავლის გაყიდვას მცირე ვადებში და გადამყიდველებთან მოლაპარაკებას მოსავლის აღებამდე აწარმოებენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში არის 58 ერთეული სამაცივრე მეურნეობა, აქედან 8 მაცივრე მეურნეობა მდებარეობს იმერეთის რეგიონში.<sup>17</sup> 2016 წლის განმავლობაში, მაცივრებში განთავსებული პროდუქციის 6% მოდიოდა ხილსა და ბოსტნეულზე. ჩატარებული ფოკუს ჯგუფიდან და ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ ფერმერებს ხელმისაწვდომობა არა აქვთ შენახვის სერვისთან, რაც გამოხატულია იმაში, რომ ფერმერები მოსავლის მიღებისთანავე ყიდიან პროდუქციას. ამასთანავე, საქართველოში პომიდვრის წარმოება განვითარებულია სეზონურად. უმეტესობა მოსავალს იღებს ზაფხულის პერიოდში და, შესაბამისად, პომიდვრის ფასი ამ პერიოდში გაცილებით დაბალია. ბოლო პერიოდში სასათბურე მეურნეობის განვითარებასთან ერთად, ბაზარზე იმატა ადგილობრივმა პროდუქტმაც, თუმცა, რასაკვირველია, ბაზარზე იმპორტირებული პომიდორი სჭარბობს.

რასაკვირველია, წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად, სასაწყობო ფართობზე მოთხოვნები გაიზარდა; ამჟამად ასეთი ფართობები არასაკმარისია ან საერთოდ არ არის მუნიციპალიტეტებში. პროდუქტის წარმოების გაზრდა შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებელი საწარმოებისა და სერიოზული კოოპერირების მეშვეობით, ამ პირობებში შესაძლებელი იქნება შესაბამისი მოცულობებისა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასაწყობო ფართობის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზამთრის პერიოდში ბაზარზე უმეტესობა იმპორტირებული პროდუქციაა და ქართულ პროდუქტზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, მომხმარებელი მზადაა ქართულ პომიდორში უფრო მაღალი ფასი გადაიხადოს. უმეტესობა გამოკითხულმა ფერმერმა რეგიონში სექტორის განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ პრობლემად გადამამუშავებლების არარსებობა დაასახელა.

იმის გამო, რომ ქარხანაში ჩასაბარებელი ფასი საბაზრო ფასზე ნაკლებია, ფერმერებს ურჩევნიათ სხვა მყიდველი მოიძიონ. ისინი, ხშირ შემთხვევაში, თავად ახდენენ პომიდვრის ბაზარზე ტრასპორტირებას და ბითუმად მოვაჭრეებს აბარებენ პროდუქტს. ქვეყანაში არსებობს რამდენიმე გადამამუშავებელი, თუმცა ისინი გადანაწილებული არაა წარმოების ადგილების შესაბამისად, რაც ხელს არ უწყობს წარმოების მოცულობის გაზრდას, იმერეთიდან კი თბილისსა და მარნეულში გადასამუშავებლად ტრანსპორტირებული პროდუქტი ძვირდება და მისი ფასი არ იძლევა მის გადასამუშავებელ ნედლეულად გამოყენების საშუალებას.

საქართველოში პომიდვრის გადამამუშავებელი ერთ-ერთი ძირითადი ქარხანაა „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, რომელიც, ძირითადად, მარაგდება „მარნეული აგროს“ მიერ წარმოებული პროდუქციით. თუმცა, წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად, ქარხანა პომიდორს ასევე იბარებს ადგილობრივი მოსახლეობიდან. ქარხანა გადამამუშავების დარგში ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა, რომლის პროდუქციაა: პომიდვრის მწნილი, პომიდვრის საწებელი და სოუსი.

17 [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/business/Press%20release\\_2016.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/Press%20release_2016.pdf)

## 4.5 შუამავლები

პომიდვრის ძირითადი გასაღების ბაზრები იმერეთში არის მუნიციპალიტეტების ცენტრალური ბაზრები და ქუთაისის ბაზარი, სადაც ხდება ახლომასლო სოფლებიდან პომიდვრის რეალიზაცია. ყველაზე დიდ ბაზარს წარმოადგენს ქუთაისის ბაზარი, სადაც თავს იყრის მთელი იმერეთის სოფლებში მოყვანილი პროდუქცია. ეს ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და აქ ფასი შეიძლება ყოველდღიურად შეიცვალოს.

შუამავლები ფერმერებთან სხვადასხვა სოფლებში ყიდულობენ პომიდვრს პირდაპირ ჭიშკრიდან. შედარებით დიდი ფერმერები, შუამავლების გარეშე, თავად ახდენენ პროდუქციის დისტრიბუციას და პომიდვრს აბარებენ საბითუმო ბაზარზე ქუთაისში ან მუნიციპალიტეტის ბაზრებზე. უმეტესობა თავად საკუთარი სამარშრუტო ტაქსებით ახდენენ პროდუქციის ტრანსპორტირებას ბაზრამდე. კვლევის შედეგად ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ პრობლემად გამოვლინდა სოფლის გზის მოუნესრიგებლობა, რაც ხელს უშლის სოფლის მოსახლეობას პროდუქტის ეფექტურად რეალიზაციაში.

## 4.6 მომხმარებელი

ზოგ შემთხვევაში ფერმერები პომიდვრის რეალიზებას ახდენენ პირდაპირ ჭიშკრიდან მომხმარებელზე ან გადამყიდველზე. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ფერმერები თავად ახორციელებენ პომიდვრის ტრანსპორტირებას. ასევე ფერმერები პროდუქციას ყიდიან კვების ობიექტებზე, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში. ასევე პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ მარკეტებში.

შედარებით დიდი სათბურები პომიდვრს პირდაპირ აწვდიან დიდ სუპერმარკეტებს და კვების ობიექტებს. ქართველ მომხმარებელში დიდი პოპულარულობით სარგებლობს ვარდისფერი და ყოპორტის პომიდორი, შესაბამისად, მზად არის მომხმარებელმა შედარებით მეტი გადაიხადოს სასურველ პროდუქტში. შედარებით მაღალი ფასი აქვს პომიდვრს სუპერმარკეტებში, სადაც შევხვდებით დაფასოებულ პომიდვრს, სხვადასხვა ჯიშის მიხედვით.

## 4.7 პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვზე მოქმედი გარე ფაქტორები

### 4.7.1 სახელმწიფო უწყებები და სოციალური-საკონსულტაციო სამსახურები

ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ რამდენიმე რესპონდენტმა ისარგებლა სახელმწიფო პროგრამით „აწარმოე საქართველოში“, რომლითაც მოახერხეს სათბურების გაკეთება. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია: პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისა და ასევე ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება. უკანასკნელი გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახ საწყობებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახ სამაცივრო მეურნეობებს.<sup>18</sup>

დღესდღეობით, ერთ-ერთი პროექტი, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს, „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“ აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ბენეფიციარის მიერ წარმოდ-

<sup>18</sup> აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა, APMA



გენილი პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ის დაფინანსებას ითვალისწინებს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, აგრონარმოების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა. ეს პროგრამა გულისხმობს პომიდვრის კულტურისათვის საჭირო ტექნოლოგიების განვითარებას. ამ პროექტის ფარგლებში შესაძლებელია სასათბურე მეურნეობების მონყობა/განახლება:<sup>19</sup>

- სათბურის გათბობისა და კლიმატის შემქმნელი სისტემის (მათ შორის, სისტემის მაკომპლექტებელი ელემენტები) შექმნა, ან/და არსებულის განახლება;
- სათბურის ლითონის კონსტრუქციის შექმნა, ან/და არსებულის განახლება;
- სათბურის გამჭვირვალე საფარის შექმნა, ან/და არსებულის განახლება;
- სათბურის თარო-სტელაჟის შექმნა, ან/და არსებულის განახლება;
- შპალერის მოსაწყობი მასალების (მაგვთული, კაუჭები და სხვ.) შექმნა;
- სასუქის რეზერვუარის და შემრევი აპარატურის შექმნა;
- მულჩირებისათვის პოლიეთილენის სამულჩი ფირის შექმნა;
- ტენის, ტემპერატურის საზომი ხელსაწყოების შექმნა;
- სავენტილაციო სისტემის მონყობა, ან/და არსებულის განახლება;
- სარწყავი სისტემის და შესაბამისი რეზერვუარის შექმნა, ან/და არსებულის განახლება.

გამოკითხულთაგან უმრავლესობა ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამების შესახებ იღებს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებიდან. თუმცა, ფერმერთა უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კვალიფიციური აგრონომის ნაკლებობაა ყველა მუნიციპალიტეტში. ისინი წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში, ძირითადად, ერთმანეთის რჩევებით იღებენ გადაწყვეტილებებს.

#### 4.7.2 დონორები და არასამთავრობო ორგანიზაციები

იმერეთის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დონორი ორგანიზაციაა, People In Need (PIN)- ჩეხური არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია. ორგანიზაციის მიმდინარე პროექტები, ძირითადად, მიმართულია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებაზე. PIN-ის მიერ ხდება სასათბურე მეურნეობების დაფინანსება იმერეთის რეგიონში.

ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, EBRD-ის პროგრამამ „კონსულტაცია მცირე ბიზნესისათვის“, (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ EU4Business ინიციატივის ფარგლებში) დააფინანსა სასათბურე „იმერეთი გრინერი“. EU4Business ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას, მათი ხელმისაწვდომობის ზრდას ფინანსებზე და ახალ ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესებას.

ასევე რეგიონში მუშაობს USAID-ის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი REAP-ი. პროგრამის მიზანია არსებული საწარმოების გაძლიერება და აგრობიზნესში დასაქმებული იმ მენარმეების გამოვლენა, რომელთაც უკვე აქვთ კარგი ბიზნესიდეები, სურთ ინვესტიციების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა იმერეთის რეგიონში სასათბურე მეურნეობა „ჭერბია“.

ასევე USAID-ის ZRDA პროექტი მიზნად ისახავს სოფლად საოჯახო მეურნეობების დახმარებას, რათა გაიზარდოს მათი პროდუქტიულობა და შემოსავალი. მათ მიერ არჩეულ ხუთ პრიორიტეტულ სექტორს შორის ერთ-ერთია პომიდორი. პროექტის მიზანია, გააუმჯობესოს ფერმერთა და საწარმოო ჯაჭვში ჩართული სხვა სუბიექტების ბაზრებზე წვდომა.

<sup>19</sup> აგრონარმოების ხელშეწყობის პროგრამა, APMA

### 4.7.3 კვლევითი ორგანიზაციები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე არსებობს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს პომიდვრის კულტურასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებას და ამით დაეხმაროს დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, მოსავლიანობის ზრდას.

პომიდვრის შესახებ მცირე რაოდენობით კვლევები არსებობს. „პომიდვრის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები“, არის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც მოკლედ მიმოიხილავს პომიდვრის სექტორს.<sup>20</sup> ამიტომ მნიშვნელოვანია ეს დარგი მეტად იქნეს გამოკვლეული და შემდგომ ინფორმაცია მიენოდოს ფერმერებს, მათი მეტად ინფორმირებულობის კუთხით.

### 4.7.4 საქართველოში

შიდა ქართლის ბოსტნეულის მწარმოებელთა ასოციაცია USAID-ის საგრანტო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, თუმცა მსგავსი ასოციაცია არ არსებობს იმერეთის რეგიონში. შესაბამისად, ვერ ხერხდება დარგის სათანადო ლობირება, მისი სწორი დაგეგმვა და მართვა, რის გამოც ამ პროდუქციის მომხმარებლის მიერ გაღებული ფინანსების მეტი წილით ხდება ქვეყნის გარეთ არსებული პომიდვრის მწარმოებელი კომპანიების მხარდაჭერა.

20 <http://srca.gov.ge/files/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C.pdf>

## 5. ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების ენალიზი

### 5.1 დაფინანსების სუბალეზები

პროდუქტის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ თავში მიმოხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსების საშუალებები და ბარიერები. ყურადღება გამახვილებულია პომიდორსა და იმერეთის რეგიონზე.

ზოგადად, დაფინანსების მთავარ წყაროს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ. აღნიშნული ორგანიზაციები ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს სთავაზობენ როგორც სესხებს, ასევე სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების გახსნას.

ფინანსური ინსტიტუტების ინფორმაციით, სესხის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისინი ძირითადად ხელმძღვანელობენ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე, საპროგნოზო შემოსავლებზე, მათ მიმდინარე ვალდებულებებსა და სესხის მომსახურების დაფარვის ხარისხზე ინფორმაციით. მათივე ინფორმაციით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი, კომპონენტია სესხის უზრუნველყოფა. სესხის უზრუნველყოფა, ძირითადად, ხდება უძრავი ქონებით, როგორცაა სახლი ან მიწა (საძოვარი, ვენახი). თუმცა, აღნიშნავენ, რომ უზრუნველყოფისათვის მხოლოდ მიწა არ არის საკმარისი მისი დაბალი ღირებულებიდან გამომდინარე.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეთა უმრავლესობა ფულადი სახსრების მისაღებად ბანკებს მიმართავს. თუმცა, ფინანსების წყაროდ ასევე დასახელდა სახელმწიფო პროგრამები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ახლობლებისგან მიღებული თანხები.

როგორც აღინიშნა, დაფინანსების მოძიების კიდევ ერთი გზა სოფლის მეურნეობის სფეროს ნახალისების მიზნით შექმნილი სახელმწიფო პროგრამებია.

#### 5.1.1 სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროექტები

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2012 წელს დაარსდა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA),<sup>21</sup> რომელიც ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ახორციელებს და მართავს აღნიშნული სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს. პროგრამების ფარგლებში სააგენტო აფინანსებს სოფლის მეურნეობაში ჩართულ ყველა ძირითად რგოლს, საქართველოს ყველა რეგიონში. ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების ფარგლებში მოხდა ბენეფიციარების დაფინანსება<sup>22</sup> იმერეთის რეგიონში.

21 Agricultural Projects Management Agency

22 იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა „დანერგე მომავალი„ ხელს უწყობს მრავალწლიანი კულტურების გაშენებას, პომიდორის მწარმოებელთა ხელშეწყობა არ არის პროგრამით გათვალისწინებული. შესაბამისად, დოკუმენტში პროგრამა არ არის განხილული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში იმერეთში დაფინანსდა 34 ბენეფიციარი.

### აგრონარმოების ხელშეწყობის პროგრამა<sup>23</sup>

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში და ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ.

პროგრამის მიზანია პროდუქციის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა (პირველადი ნარმოების კომპონენტი) და გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსანარმოების გაფართოება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (გადამამუშავებელი და შემნახველი სანარმოების კომპონენტი). შესაბამისად, პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

- პირველად ნარმოებას;
- გადამამუშავებელ და შემნახველ ნარმოებას.

პროგრამა ხორციელდება 2016 წლიდან, თუმცა ამ წელს იმერეთში არ მომხდარა ბენეფიციარების დაფინანსება. 2017 წელს, პირველი კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 9 პროექტი, გრანტის მოცულობამ კი შეადგინა 297,695 ლარი. გადამამუშავებელი და შემნახველი სანარმოების კომპონენტში გრანტი გაიცა ერთ ბენეფიციარზე 595,200 ლარის ოდენობით. 2017 წელს იმერეთში გაცემული გრანტის მოცულობამ, მთლიანი საგრანტო მოცულობის 34% შეადგინა.

### შელავათიანი აგროკრედიტი<sup>24</sup>

პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი ნარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის სანარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების, იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი ნარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების სანარმოები კომერციული ბანკებისგან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შელავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. ამისათვის ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ წინასწარგანსაზღვრულ პირობებს.

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება გარკვეულ პროცენტზე;
- შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის – თანადაფინანსება სესხზე და მისი მეორადი უზრუნველყოფა (სახელმწიფო ანაზღაურებს სრულ თანხას, თუ ბენეფიციარი ვერ შეძლებს გადახდას);
- შელავათიანი აგროლიზინგი – სალიზინგო საზღაურის ნაწილის თანადაფინანსება;
- **სახელმწიფო პროგრამა “ანარმოე საქართველოში”<sup>25</sup>** – პროგრამას ახორციელებენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის

23 [http://apma.ge/projects/read/agricultural\\_industry/16;parent](http://apma.ge/projects/read/agricultural_industry/16;parent)

24 [http://apma.ge/projects/read/agro\\_credit/5;parent](http://apma.ge/projects/read/agro_credit/5;parent)

25 [http://apma.ge/projects/read/produce\\_in\\_georgia/](http://apma.ge/projects/read/produce_in_georgia/); <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>

მიმართულებით ეს პროგრამა ითვალისწინებს ახალი საწარმოების შექმნას ან არსებულის გაფართოებას, რომლებიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს. ხდება როგორც სესხის თანადაფინანსება, ასევე შეღავათიანი პერიოდის დაწესება (გარკვეული პერიოდი, როდესაც საწარმო არ იხდის პერიოდულ გადასახადს).

ჩამოთვლილი ოთხივე კომპონენტი აფინანსებს როგორც პირველად, ასევე გადამამუშავებელ საწარმოებს. ლიზინგის შემთხვევაში, ხდება იმ კომპანიების დაფინანსებაც, რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს.. „აწარმოე საქართველოში“ ასევე აფინანსებს ინფრასტრუქტურულ საწარმოებსაც, როგორებიცაა მარცვლეულის საშრობები, საწყობები და სამაცივრე მეურნეობები.

**ცხრილი 6: პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტის“ შედეგები 2013-2017**

	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ლ)	ბენეფიციარების რაოდენობა	გაცემული თანხა (ლ)
2013	388	5,410,783	33	1,729,000
2014	568	9,986,217	36	3,730,185
2015	152	7,376,860	45	2,870,326
2016	66	4,357,442	45	2,679,243
2017	126	9,925,985	2	52,000
<b>სულ</b>	<b>1,300</b>	<b>37,057,287</b>	<b>161</b>	<b>11,060,754</b>

წყარო: სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018

2017 წლის მონაცემებით, 2013-2017 წლებში, იმერეთში 1461 ბენეფიციარი დაფინანსდა. გაცემულმა თანხის მოცულობამ ლარში 37 მლნ, ხოლო დოლარში 11 მლნ შეადგინა. 2017 წელს ვალუტის მიხედვით გაცემული თანხების შეცვლილი სტრუქტურა, თანხის გაზრდილი მოცულობა ლარში და შემცირებული დოლარში, შესაძლოა, აიხსნას ეროვნული ბანკის ლარიზაციის პოლიტიკით<sup>26</sup>.

**გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი<sup>27</sup>**

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სექტორში შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნასა და გაფართოებას. პროგრამის ფარგლებში, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება სამი გზით არის შესაძლებელი – სააგენტოს თანადაფინანსებით, შეღავათიანი კრედიტით/ლიზინგით ან ბენეფიციარის საკუთარი თანამონაწილეობით.

2015-2016 წლებში იმერეთში მოხდა სამი გადამამუშავებელი საწარმოს თანადაფინანსება, რომელთა დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 620,993 აშშ დოლარი. რეგიონში, ამ პროგრამის ფარგლებში, არ მომხდარა შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

არსებობს ისეთი სახელმწიფო პროგრამებიც, რომლებიც არ გულისხმობს პირდაპირ დაფინანსებას, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ხელი შეუწყოს ღირებულებათა ჯაჭვის მიწვევებს დაფინანსების მოპოვებაში.

26 <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3030>  
 27 <http://apma.ge/projects/read/grant/6:parent>

### აგროდაზღვევა<sup>28</sup>

პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მეურნეობებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას.

პროგრამის განხორციელების მიზნით, APMA-ს აქვს ხელშეკრულება ლიცენზირებულ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლის საფუძველზეც ახდენს მეურნეობების სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას და მათ მონიტორინგს.

პროგრამის ფარგლებში ხდება სეტყვით, წყალდიდობით, ქარიშხლით ან ყინვით დაზიანებადი კულტურების დაზღვევა. დამზღვევი ფინანსდება 70%-ით ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა (50% თანადაფინანსება). შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე კულტურის დაზღვევაც.

ყოველწლიურად იზრდება იმერეთში აგროდაზღვევით მოსარგებელთა რაოდენობა. 2014 წელს რეგიონში 7 სადაზღვევო პოლისი გაიცა, ხოლო 2017 წელს – 1,487 პოლისი. შესაბამისად, იზრდება რეგიონში დაზღვეული მიწის ფართობიც. 2017 წლის მონაცემებით, დაზღვეულია 888 ჰა მიწის ფართობი.

### ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი<sup>29</sup>

პროექტი ითვალისწინებს ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემის შექმნას, რომლის საშუალებითაც სასოფლო-სამეურნეო აქტივების და მათი მესაკუთრეების შესახებ კონსოლიდირებული ინფორმაცია განთავსდება ერთიან ელექტრონულ სივრცეში.

პროექტის ფარგლებში, 2018 წლის ბოლომდე უნდა მოხდეს 100,000-მდე ფერმის რეგისტრაცია, ხოლო გრძელვადიანად ბაზაში აისახება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი. ბაზის შექმნის შემდგომ, პერიოდულად მოხდება ინფორმაციების მოძიება და განახლება. პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონებში ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებას.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები მოიცავს ღირებულებათა ჯაჭვის თითქმის ყველა რგოლის დაფინანსებას, შესაბამისად, პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს, პროგრამების ფარგლებში, საშუალება აქვთ, წამოიწყონ ან გააფართოვონ მათი წარმოება.

## 5.2 ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და გამოწვევები

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, რეგიონში არაერთი ბენეფიციარი დაფინანსდა. თუმცა, უშუალოდ პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართულ, გამოკითხული ფერმერებისა და ღირებულებათა ჯაჭვის სხვა მონაწილეების ნაწილს, არა აქვს ინფორმაცია, სახელმწიფო პროგრამების თაობაზე. არიან ისეთებიც, ვისაც აქვს ინფორმაცია და უსარგებლია ამა თუ იმ სახელმწიფო პროგრამით.

28 <http://apma.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>

29 [http://apma.ge/projects/read/farms-farmers\\_registration\\_project/](http://apma.ge/projects/read/farms-farmers_registration_project/)

სახელმწიფო პროგრამებისა და ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს საშუალება აქვთ, ჩაერთონ პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვში და განავითარონ იგი. თუმცა, არსებობს გარკვეული ბარიერები, რაც ხელს უშლის მათ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას.

ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამოწვევები ნათელია როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრიდან. პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლები, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ძირითად გამოწვევებად მიიჩნევენ სესხზე მაღალ საპროცენტო განაკვეთსა და ძვირად ღირებულ გირაოს. ასევე, მათთვის საეჭვოა ბანკის ოფიცრების კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობის მიმართულებით. დაბალკვალიფიციური ბანკის ოფიცრები დარგს აფასებენ მაღალრისკიანად და, შესაბამისად, აწესებენ მაღალ საპროცენტო განაკვეთს.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, ასევე, ეხმიანება მიწოდებს მხარე. ბანკებისათვის სესხის უზრუნველყოფა და შემოსავლების დადასტურება მთავარი პრობლემებია, რის გამოც უარს ეუბნებიან სესხების მსურველებს. სოფლის მეურნეობის დარგში შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვიანობა პრობლემას წარმოადგენს, რაც ართულებს შემოსავლების დადასტურებას და, შესაბამისად, სესხის გაცემას. ფინანსურ ინსტიტუტებს წინასწარ შემუშავებული აქვთ კრიტერიუმები, რითიც ხდება გასაცემი სესხების რისკიანობის შეფასება, ხოლო მის საფუძველზეც გაიანგარიშება სესხის პროცენტი. ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საპროცენტო განაკვეთები დარგში არსებული რისკების ადეკვატურია.

ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა, მაგ., შეღავათიანი აგროკრედიტი გულისხმობს ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების მიერ სესხის აღებას, რომლის პროცენტის სუბსიდირებასაც ახდენს სააგენტო. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ APMA-ს ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში (დანერგე მომავალი და შემნახველი საწარმოების პროგრამა) სააგენტოს წინასწარ აქვს განსაზღვრული იმ დოკუმენტების და ინფორმაციის ნუსხა, რაც უნდა შეავსოს და წარმოადგინოს პოტენციურმა ბენეფიციარმა. შესაბამისად, ტექნიკური ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, ყველა განაცხადი ფინანსდება.

ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია ჯაჭვის მონაწილეებს შორის საკონტრაქტო შეთანხმებების<sup>30</sup> არსებობა. აღნიშნული ჯაჭვის მონაწილეების ფინანსებზე ხელმისაწვდომობასაც გაზრდის, რადგან კონტრაქტების საშუალებით მარტივდება მსესხებლის შემოსავლების დადასტურება და გადახდისუნარიანობის შეფასება, შედეგად მცირდება რისკები და მარტივდება მათზე სესხის გაცემა.

<sup>30</sup> იგულისხმება დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებს, რომ მენარმე ჩართულია ჯაჭვში და აქვს კავშირი ღირებულებათა ჯაჭვის სხვა წარმომადგენლებთან.

## 6. სექტორის განვითარების პოტენციული

### ეროვნულ ბაზარზე

#### 6.1 დუსექტორის შესაძლებლობები

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ისინი პომიდვრის მოვლას ოჯახის წევრების დახმარებით უმკლავდებიან. მოსავლის აღება ხდება ხელით. პატარა მეურნეობები მოსავალს თვითონ იღებენ, იქიდან გამომდინარე, რომ პომიდვრის მოკრეფა ხდება ეტაპობრივად და არა ერთჯერადად. მსხვილი ფერმერები ქირაობენ მუშახელს – კრეფის დროს საშუალოდ 4-5 მუშას. აღსანიშნავია, რომ პომიდვრის მეტი მოცულობით მოყვანის შემთხვევაში, დასაქმების პერსპექტივა გაიზრდება და შეიძლება სეზონურიც აღარ იყოს (რადგან შესაძლოა მოვლის დროსაც დასჭირდეთ მუშახელი და არა მხოლოდ კრეფისას).

#### 6.2 შემოსავლების მენეჯირება

როგორც უკვე აღინიშნა, იმერეთში მოსახლეობის დაახლოებით 65% არის თვითდასაქმებული. ამ თვითდასაქმებული მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია ჩართული. საოჯახო მეურნეობების უმრავლესობა იმერეთის რეგიონის სოფლებში საკუთარი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მოჰყავთ პომიდორი. შესაბამისად, პომიდორი წარმოადგენს მათი სასურსათო უსაფრთოებისთვის და შემოსავლისთვის უმნიშვნელოვანეს კულტურას. პომიდვრის მწარმოებლებთან უფრო მეტი შემოსავლების მიღება შესაძლებელია, თუ პომიდვრის ბაზარზე გაყიდვას შეძლებენ არასეზონზე. ამისათვის მათ ღია გრუნტზე წარმოებიდან უნდა გადაინაცვლონ სათბურებში წარმოებაზე. თუმცა, რასაკვირველია სათბურის აგება და შემდეგ გათბობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად ფერმერებმა უნდა შეძლონ ახალი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით პროდუქტის წარმოება დახურულ გამთბარ გრუნტზე.

#### 6.3 მარკეტინგული გეგმვა

გარემოზე ზეგავლენის თვალსაზრისით, აღსანიშნავია პომიდვრის გამოყენება თესლბრუნვაში. თესლბრუნვა ხელს უწყობს ნიადაგში საკვები ნივთიერებების ბალანსის შენარჩუნებას, ხელს უშლის მავნებელი მწერების მომრავლებასა და სხვადასხვა დაავადებების გავრცელებას.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფერმერები თანდათან ცდილობენ ბიონარმოებაზე გადასვლას. უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება ორგანული სასუქები და ბიოსაშუალებები. თუმცა ასეთ ფერმერთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. უნდა აღინიშნოს, რომ თუ პომიდვრის წარმოება ხდება ღია გრუნტზე, მაშინ ფერმერები გამოიყენებენ უფრო დიდი რაოდენობით შესაწამლ საშუალებებს, ვიდრე სათბურში წარმოების დროს. საჭიროა სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების მხრიდან უფრო მეტი ჩართულობა, რათა ამ მიმართულებით მოხდეს ცნობიერების ამაღლება.



# 7. Global Value Chain-ში მონაწილეობის პოტენსიალი


## 7.1 პროდუქტის სექტორი მსოფლიოში

### 7.1.1 წარმოების ღირებულება მსოფლიოში

პომიდორი ყველაზე მოხმარებადი ბოსტნეულია მსოფლიოში.<sup>31</sup> სულ მსოფლიოში 2016 წელს ინარმოვა 177 მილიონი ტონა პომიდორი, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოება 10 წლის წინანდელ მონაცემთან შედარებით გაზრდილია 30%-ით.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2016 წლის მონაცემებით, პომიდორს მსოფლიოში აწარმოებდა 176 ქვეყანა. იმავე წლის მონაცემების თანახმად, სულ მსოფლიოში პომიდორი დარგული იყო 4 782 753 ჰექტარ ფართობზე. 2016 წელს მსოფლიოში ყველაზე დიდი, პომიდვრის მწარმოებელი არის აზია, სადაც მსოფლიოში წარმოებული პომიდვრის 60.1% (106 მილიონი ტონა) ინარმოება. ევროპა წარმოების მოცულობით არის მეორე ადგილზე 13,7% (24 მილიონი ტონა), მას მოჰყვება აფრიკა, სადაც ინარმოება 11.2% (19 მილიონი ტონა). ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ინარმოება მთლიანი წარმოების 7.6% და 4.0%, შესაბამისად.

#### ღიაბრამა 4: მსოფლიოში პომიდვრის საშუალო მოსავლიანობა




წყარო: FAOSTAT

როგორც მე-2 გრაფიკიზეა ასახული, საშუალოდ მსოფლიოში ჰექტარზე წარმოებული პომიდვრის რაოდენობას მზარდი ტენდენცია აქვს. შედარებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება შევნიშნოთ, რომ 2010 წელთან შედარებით საშუალოდ მსოფლიოში 2016 წელს 30%-ით მეტი პომიდვრის მოსავალი მოდის ერთ ჰექტარზე.

### 7.1.2 უმსხვილესი მწარმოებლები

პომიდვრის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეულის ლიდერია ჩინეთი, სადაც მსოფლიოში 2016 წელს წარმოებული პომიდვრის 36% მოდის. მეორე ადგილზე წარმოების მოცულობით ინდოეთია, რომელიც 2011 წლამდე მესამე ქვეყანა იყო წარმოების მოცულობით. თუმცა 2011 წელს წარმოება, 2010 წელთან შედარებით, 33%-ით გაზარდა და გადაასწრო მეორე ადგილზე მყოფ ამერიკის შეერთებულ შტატებს. (გრაფიკი 9).

#### ღიაბრამა 5: პომიდვრის მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული



წყარო: FAOSTAT


2016 წელს ჩინეთში პომიდორი გაშენებული იყი დაახლოებით 109 866 ჰექტარ ფართობზე, რომელიც წინა წელთან შედარებით (2015 წელი) გაიზარდა 2.7%-ით. პომიდვრის სექტორის ზრდას დიდწილად ხელი შეუწყო სახელმწიფოს სუბსიდირების პოლიტიკამ სასათბურე მეურნეობებთან მიმართებაში. ჩინეთიდან ექსპორტის მთავარი მიმართულებებია: რუსეთი, ვიეტნამი, ყაზახეთი, მონღოლეთი და სხვა მეზობელი ქვეყნები.

რაც შეეხება ინდოეთს ექსპორტიორი ქვეყნების სიაში 31-ე ადგილს იკავებს. მისი ძირითადი პარტნიორებია არიან: არაბთა გაერთიანებული საემიროები, ყატარი და ნეპალი.

### 7.1.3 ყველაზე მაღალი პროდუქტიულობის მქონე ქვეყნები

1 ჰექტარზე პომიდვრის ყველაზე მაღალი მოსავლის მქონე ქვეყნების პირველი ათეულის ყველა ქვეყანა ევროპულია. მათ შორის ლიდერია ჰოლანდია, სადაც 1 ჰექტარზე საშუალოდ იწარმოება 507 ტონა პომიდორი.

**დიაგრამა 6: ქვეყნები პომიდვრის ყველაზე მაღალი მოსავლით 1 ჰექტარზე**




წყარო: FAOSTAT

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ათეულში არ შედის არც ერთი ის ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს პომიდვრის ყველაზე დიდ მწარმოებელ ქვეყნებს მსოფლიოში.

შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლანდიაში პომიდვრის მოსავალი ერთ ჰექტარზე დაახლოებით 5-ჯერ აღემატება იმავე მაჩვენებელს ამერიკასა და ესპანეთში.

**დიაგრამა 7: პომიდვრის უდიდესი მწარმოებელი ქვეყნების პირველი ათეული მოსავლით 1 ჰექტარზე**



წყარო: FAOSTAT

რაც შეეხება პომიდვრის მოსავლის რაოდენობას 1 ჰექტარზე ევროპაში, იგი შეადგენს 48 ტონას ჰექტარზე, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წამყვანი ევროპული ქვეყნების მონაცემები. FAOSTAT-ის მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელია დაახლოებით 11 ტონა პომიდორი 1

ჰექტარზე.<sup>32</sup> ამ მაჩვენებლით საქართველო არის 136 ადგილზე 174 პომიდვრის მწარმოებელ ქვეყანას შორის. ამ ინდიკატორით საქართველოზე ბევრად წინაა მეზობელი სომხეთი, სადაც მოსავლიანობა 1 ჰექტარზე 39 ტონაა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, მოსავლიანობა შეადგენს 21 ტონას 1 ჰექტარზე.

როგორც აღინიშნა, ჰოლანდიაში მოსავლიანობა 1 ჰექტარზე გაანგარიშებით ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ხოლო საქართველოში განსხვავებული მდგომარეობაა. 2000 წელს იგივე მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა 14 ტონას, ხოლო 2010 წელს დაახლოებით 8 ტონას. ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2010 წელს საქართველო მსოფლიოში პომიდვრის მწარმოებელ ქვეყნებში ერთ-ერთ ბოლო პოზიციაზე იყო.


## 7.1.4 მწარმოებელთა ფასები

ევროკავშირში პომიდვრის იმპორტიორი ყველაზე დიდი ქვეყნები ევროკავშირის წევრი ქვეყნებია: ჰოლანდია, ესპანეთი, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პოლონეთი და პორტუგალია. ათეულში შედიან ათეულის ევროკავშირის არანევრი ქვეყნები: მაროკო და თურქეთი.

საინტერესოა შევხედოთ სწორედ იმ მწარმოებელთა ფასებს, რომლებიც პომიდვრის ექსპორტს ახორციელებენ ევროკავშირის ბაზარზე, რადგან სამომავლოდ მოგვინებს კონკურენცია მათ გავუწიოთ. მწარმოებლის საშუალო ფასებს თუ შევხედავთ, ამ ქვეყნებიდან პომიდვრის წარმოება ყველაზე ძვირი უჯდებათ გერმანიაში, სადაც 1 კილოგრამი პომიდვრის წარმოების ფასია 1.67 აშშ დოლარი. მას მოჰყვება ისრაელი, სადაც 1 კილოგრამი პომიდვრის წარმოების ფასია 0,94 აშშ დოლარი. პოლონეთი, ესპანეთი და მაროკო ის ქვეყნებია, რომლებსაც პომიდვრის წარმოება ყველაზე იაფი უჯდებათ (0.36, 0.31 და 0.2 აშშ დოლარი, შესაბამისად). პორტუგალიასა და ჰოლანდიაში ფასი ერთი და იგივეა და შეადგენს 0.67 აშშ დოლარს.

საქართველოში მწარმოებლის ფასი პომიდვრის მოყვანისას 0.26 აშშ დოლარია 1 კგ-ზე. ამ ფასის მიხედვით, საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, ქვემოთ მოყვანილ ქვეყნებს შორის.

### დიაგრამა 8: პომიდვრის მწარმოებელთა ფასები




წყარო: FAOSTAT

32 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და FAOSTAT-ის მონაცემები მოსავლიანობაზე მცირედით ცდება ერთმანეთს, რადგან FAOSTAT-ი საქსტატის გარდა ეყრდნობა სხვა წყაროებსაც

### 7.1.5 უმსხვილესი იმპორტიორები და ექსპორტიორები

სულ 2017 წელს მსოფლიოში განხორციელდა 7.076.700 ტონა პომიდვრის იმპორტი. პომიდვრის ყველაზე დიდი რაოდენობის იმპორტს ახორციელებს აშშ, სადაც 2017 წელს 1.788.805 ტონა პომიდვრი შეისყიდეს. შემდეგი პომიდვრის ყველაზე დიდი იმპორტიორი ყვეყანაა გერმანია, რომელზეც მსოფლიო იმპორტის 10% მოდის. ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნების ათეულშია ევროკავშირის ქვეყნების უდიდესი ნაწილი.

#### დიაგრამა 9: მსოფლიოში პომიდვრის ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნები




წყარო: ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))

შედარებისთვის რომ ავიღოთ, 2001 წელს მსოფლიოში პომიდვრის მთლიანი იმპორტი შეადგენდა 4,365,152 ტონას, რაც დაახლოებით 50%-ით ნაკლებია 2016 წლის მთლიან იმპორტთან შედარებით. წლიდან წლამდე ექსპორტის მოცულობას მზარდი ტენდენცია გააჩნია მსოფლიოში.

მსოფლიოში ევროკავშირი არის პომიდვრის ყველაზე დიდი ექსპორტიორი. მასზე მოდის მთლიანი ექსპორტის 45%. მეორე ადგილზეა ჩრდილოეთ ამერიკა საიდანაც ხორციელდება მთლიანი ექსპორტის 32%.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ მსოფლიოში როგორც ყველაზე დიდი ექსპორტიორი, ასევე ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყნების ათეულში შედის. თუმცა პომიდვრის ექსპორტით ლიდერი ქვეყანაა მექსიკა, რომლის ექსპორტის უდიდესი ნაწილი(99%) მიემართება აშშ-ში. ექსპორტის სიდიდით მეორე ადგილზე მყოფი ქვეყანაა ჰოლანდია, რომელზეც მოდის მსოფლიოს ექსპორტის დაახლოებით 15%.


### დიაგრამა 10: მსოფლიოში პომიდვრის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყნები



წყარო: ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირი წარმოადგენს არა მარტო ყველაზე დიდ ექსპორტიორს მსოფლიოში, არამედ იმპორტიორსაც. ევროპაზე მოდის პომიდვრის მსოფლიო იმპორტის 59% და ჩრდილოეთ ამერიკაზე 32%. ევროკავშირში ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების ათეულშიც უმრავლესობა ევროკავშირის ქვეყნებია.

### დიაგრამა 11: ევროკავშირში ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ქვეყნები



წყარო: ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))


## 7.2 საქართველოს პომიდვრის ვაჭრობის სტატისტიკა

### 7.2.1 პროდუქტით საქართველოს ვაჭრობის სტატისტიკა

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2016 წელს იმპორტირებული პომიდვრის ღირებულებამ შეადგინა 9.7 მილიონი აშშ დოლარი, რაც 4.3-ჯერ აღემატებოდა იმავე წელს ექსპორტირებული პომიდვრის ღირებულებას. მთლიანი იმპორტის 99% თურქეთიდან განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს 2015 წელთან შედარებით, გაიზარდა ახალი ან გაცივებული პომიდვრის ექსპორტის რაოდენობა და ასევე ღირებულება. თუ 2015 წელს 330 ათასი აშშ დოლარის ექსპორტი ხორციელდებოდა, 2017 წელს ეს ციფრი 4.28 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. 2017 წელს ექსპორტის ღირებულება გაზრდილია წინა წლის ღირებულებასთან შედარებით 89%-ით. აღსანიშნავის ის ფაქტი, რომ გაიზარდა არა მარტო ექსპორტის ღირებულება, ასევე რაოდენობაც. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 39 %-ით მეტი მოცულობის პომიდორი გავიდა ქვეყნით გარეთ.


**ღიაბრამა 12: ახალი ან გაცივებული პომიდვრის ექსპორტი**



წყარო: საქსტატი და ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))

2017 წელს ქვეყანაში დაახლოებით 7 მილიონი დოლარის პომიდვრის იმპორტი განხორციელდა. 2016 წელს – 9 მილიონი დოლარის. თუ შევადარებთ 2016 წელს, 2017 წელში პომიდვრის იმპორტის ღირებულება გაიზარდა 22%-ით. თუმცა, რთულია ამ შემცირების ახსნა, რადგან პომიდვრის წარმოება ქვეყანაში 2017 წელს წინა წელთან შედარებით 8%-ით შემცირდა.

**დიაგრამა 13: ახალი ან გაცვივებული პომიდვრის იმპორტი საქართველოში**




წყარო: წყარო: საქსტატი და ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))

**7.2.2 საქსპორტო ბაზრები და იმპორტიორი ქვეყნები**

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლო ორი წლის განმავლობაში ექსპორტი საქართველოდან საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა, საქართველოდან ექსპორტი კონცენტრირებულია რამდენიმე ბაზრებისკენ. საკმაოდ დიდი 81% წილი უჭირავს რუსეთს, საქართველოს საექსპორტო მომართულებებში. შემდეგ მოდის უკრაინა და სომხეთი, 9% და 4%-ით, შესაბამისად. წელს პირველად მოხდა პომიდვრის ექსპორტი ლატვიაში. 2017 წელს ლატვიაში განხორციელდა 116 ტონა პომიდვრის ექსპორტი. ოფიციალური მონაცემების თანახმად, თურქეთში პომიდვრის ექსპორტი არ ხორციელდება და ის მოსაზრება, რომ საქართველოდან თურქეთში გადის კარგი ხარისხის პომიდორი, ხოლო იქიდან შემოდის ნაკლებად ხარისხიანი თურქული პომიდორი, სიმართლეს არ შეესაბამება.

**დიაგრამა 14: საქართველოდან პომიდვრის საექსპორტო ქვეყნები(ათასი ტონა)**



წყარო: საქსტატი და ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))



მთავარი იმპორტიორი ქვეყანა მეზობელი თურქეთია, რომელიც იმპორტირებული პომიდვრის მთლიანი მოცულობის 90%-ის შემომტანია ქვეყანაში. დანარჩენ ქვეყნებზე კი მცირე წილი მოდის. საქართველოში 99.6% პომიდვრის იმპორტი 2017 წელს განხორციელდა თურქეთიდან. მხოლოდ 0.2%-ის იმპორტირდა რუსეთიდან და 0.2% ირანიდან. თუ გადავხედავთ წინა წლებს, დაწყებული 2001 წლიდან გვხვდება მსგავსი სიტუაცია, ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა თურქეთია. ხშირად ფერმერები აღნიშნავენ იმას, რომ ამ ქვეყანაში მოყვანილი პომიდორი ძირითად კონკურენციას უწევს ადგილობრივ წარმოებას, განსაკუთრებით არასეზონურ პერიოდში. თუმცა, გადამწყვეტი აქ ფასია და არა ხარისხი. იმპორტული პომიდორი ქართულთან შედარებით ზოგჯერ 50%-ით იაფია, შესაბამისად მეტი მყიდველი ჰყავს. ადგილობრივი მწარმოებლები ერთ-ერთ მთავარ ხელისშემშლელ პრობლემად სწორედ უცხოური პომიდვრის დაბალ ფასს ასახელებენ. თუმცა, ეს ერთადერთი პრობლემა არ არის, რასაც ადგილობრივი ფერმერები საქმიანობის დროს აწყდებიან.

**ცხრილი 7: საქართველოში პომიდვრის იმპორტიორი ქვეყნები, 2017 წელი**

იმპორტიორი ქვეყანა	ღირებულება (აშშ დოლარი)	რაოდენობა (ტონა)
თურქეთი	7 622 000	17840
რუსეთის ფედერაცია	54 000	35
ირანი	11 000	28
სომხეთი	3000	8
ჰოლანდია	3000	1

წყარო: ITC ([www.trademap.org](http://www.trademap.org))

**7.3 პროდუქტის ევროკავშირში შესვრის კოტენსიული**

**7.3.1 საჭირო სერტიფიკატები და მათთან უსოფრეპული ხარჯები**

უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერი პირი, რომელსაც სურს ევროკავშირში გაიტანოს პომიდორი და ეწევა პომიდვრის პირველად წარმოებას, ვალდებულია დარეგისტრირდეს სურსათის მწარმოებლად. რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეესტრის ეროვნული სააგენტო.

ასევე აუცილებელია წარმოებული პროდუქტის მიკვლევადობა. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხური, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ბიზნესოპერატორმა. ამისათვის ბიზნესოპერატორს უნდა ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. მან უნდა დანერგოს ისეთი სისტემები და პროცედურები, რომლებიც, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის ორგანოებს საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფს.

ამ შემთხვევაში, პომიდვრის, როგორც პირველადი პროდუქტის მწარმოებელს არ მოეთხოვება (HACCP) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა.

ევროკავშირში პროდუქციის წარმატებით რეალიზაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სერტიფიკატია – GLOBALG.A.P.-ის სერტიფიკატი. ეს არის ერთგვარი ბილეთი

ევროპის ბაზრისკენ. ამ სერტიფიკატის გამცემი ორგანო არ მდებარეობს საქართველოში. საქართველოსთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს თურქეთის ოფისია. GLOBALG.A.P.-ის სერტიფიკატის ღირებულება არის 10 000 დოლარი. აქედან 5 000 დოლარი კონსულტაციის ხარჯია. ამ ხარჯს ემატება კონსულტაციის შედეგების გათვალისწინების ხარჯი. დანარჩენი 5 000 დოლარი მიემართება აუდიტორის ჩამოყვანაზე, მომსახურებასა და სერტიფიკატის გაცემაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სერტიფიკატი ვარგისია ალბიდან 12 თვის განმავლობაში. გარდა ამისა, შეუძლებელია ყველაზე დიდი ხარჯის წინასწარშეფასება, რომელიც იმ ინფრასტრუქტურულ ცვლილებებზე მოდის, რომელიც უნდა დანერგოს გადამამუშავებელმა კონსულტაციების შედეგად.

ასევე პომიდვრის ევროკავშირში ექსპორტის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პომიდვრზე როგორც ერთ-ერთი გამონაკლისის პროდუქტზე დაწესებულია ე. წ. „შესვლის ფასი“, ანუ ეს პროდუქტები ექვემდებარება საბაჟო გადასახადის გადახდას, გარკვეულ პირობებში. პომიდვრი მიეკუთვნება იმ პროდუქტთა რიცხვს, რომლებზეც ჯერაც ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ, რომელთა იმპორტის გადასახადის ადვალორული (ad valorem – ღირებულების შესაბამისი) კომპონენტი გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა დამოკიდებული არ იქნება ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასის მიხედვით.

ევროკავშირის ბაზარზე შესვლის ფასს, სტატისტიკურ ნომენკლატურას და ერთიან საბაჟო ტარიფს განსაზღვრავს ევროკომისიის რეგულაცია(EU) 927/2012, სადაც მოცემულია თითოეულ პროდუქტზე არსებული ზღვრები და შესაბამისი საბაჟო გადასახადი, სეზონების მიხედვით.

დავუშვათ, ქართულ კომპანიას სურს საქართველოში მოყვანილი ვაშლის ევროკავშირში ექსპორტი. პომიდვრის „შესვლის ფასის“ რეგულაციას ექვემდებარება და იგი სეზონის მიხედვით იცვლება. იმისთვის, რომ ექსპორტიორმა წინასწარ განსაზღვროს, დაექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქონლის შეტანა საბაჟო გადასახადს, მან უნდა იხილოს ევროკომისიის რეგულაცია N(EU) 927/2012 და Annex 2.

### 7.3.2 ტრანსპორტირების ხარჯები

რასაკვირველია, ტრანსპორტირების ხარჯები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ, რომელ ქვეყანაში ხდება პროდუქტის გატანა. 20-ტონიანი კონტინერის შემთხვევაში, სადაც გარკვეული ტემპერატურული რეჟიმი დაცული (ბოსტნეულის შემთხვევაში, ძირითადად +4 °C). დანახარჯი ევროპაში ტრანსპორტირებისას შესაძლოა მერყეობდეს 4000-დან 5000 ევრომდე (12440 ლარიდან – 15550 ლარამდე).<sup>33</sup> ამ ავტომანქანის მოცულობა, რომელიც მაცივარ მანქანას წარმოადგენს, 20 ტონაა. ასევე გასათვალისწინებელია დაზღვევის ხარჯი, რომელიც შეადგენს ზედნადებში მითითებული თანხის 0,2-0,35%-ს.

### 7.3.3 უზნოვარ სავაჭრო ობიექტებთან დაკავშირების უზნოვარობა

სასურველია, ამ შემთხვევაში, მოხდეს რომელიმე ევროპულ მსხვილ სავაჭრო ცენტრთან დაკავშირება, როგორც ეს იყო ქართული კომპანიის „ნერგეტას“ შემთხვევაში, რომლებმაც კივის

<sup>33</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 4 ნოემბრის გაცვლითი კურსით (2.7251 ლარი/აშშ დოლარი)

ექსპორტირება მოახდინეს გერმანიში. შტუტგარტის და მის მიმდებარე რეგიონებში, Lidl-ის სუპერმარკეტების ქსელში ქართული კივი გაიყიდა. თუ ქართული პომიდორი კონკურენტუნარიანია ევროპაში გაყიდულ პომიდორთან და, ამასთანავე, დააკმაყოფილებს იმ სტანდარტებს, რომლებიც მოეთხოვება DCFTA შეთანხმების საფუძველზე, მისით ბევრი კომპანია დაინტერესდება.

### 7.3.4 პოტენცილის შეფასება

პომიდვრის მწარმოებელთა დანახარჯები და შემოსავლები, რასაკვირველია, დამოკიდებულია პომიდვრის მოყვანის მეთოდზე. საბოლოო მოგება და ხარჯები განისაზღვრება იმით, თუ რა მეთოდი გამოიყენა ფერმერმა: ჩითილებით ღია გრუტზე თუ სათბურში, გამოიყენა თუ არა ინტერსიური საწნავე სისტემა; ადგილობრივი სათესლე მასალა გამოიყენა თუ იმპორტული და მრავალი სხვა კომპონენტი, რომელთა მიხედვითაც განსხვავდება საბოლოო ხარჯები და შემოსავლები.

ფერმერის ძირითადი დანახარჯები მოდის სათესლე მასალაზე (ჰოლანდიური/იტალიური/თურქული თესლის ფასი – 8000-1000 ლარი/კგ., რასაკვირველია, მოსავლიანობის შენარჩუნებისთვის საჭიროა, რომ სათესლე მასალა შეიცვალოს 3-4 წელში ერთხელ. თუმცა, ფერმერები ხშირად სათესლე მასალას ყიდულობენ იმათგან, ვისაც წინა წელს შედარებით მაღალი მოსავალი ჰქონდა. ფერმერები აცნობიერებენ, რომ უცხოური სათესლე მასალა უკეთესია ხარისხით, მაგრამ, ბევრ შემთხვევაში, ვერ ახერხებენ შეძენას მაღალი ფასის გამო.


1 ჰექტარ მიწაზე საჭიროა დაახლოებით 1200 ლარის ორგანული სასუქი. ასევე მნიშვნელოვანია მინერალური სასუქების შეტანაც, რომლის ღირებულებაც 450 ლარია. რაც შეეხება მიწის კულტივაციის ხარჯს, რომელიც სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება, ჯამში შეადგენს 650 ლარს. მნიშვნელოვანია პომიდვრის დაცვა მავნებელ-დაავადებებისაგან. სეზონის განმავლობაში აუცილებელია პლანტაციის 4-5-ჯერ შესხურება, მავნებლებისგან დაცვის მიზნით. იქიდან გამომდინარე, რომ ფაროსანა სერიოზული პრობლემაა, არა მარტო პომიდვრისათვის, არამედ ბევრი სხვა კულტურისათვის, აუცილებელია შესანამლად აგროვადების დაცვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსავლის განადგურება.

პომიდვრის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები განისაზღვრება პომიდვრის მოსავლით და მისი ფასით. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საქართველოში პომიდვრის მოსავალი ერთ ჰექტარზე საკმაოდ დაბალია. კარგი მოვლის და აგრონესების დაცვის პირობებში მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 20-25 ტონამდეც შეიძლება გაიზარდოს. მოსავალი შეიძლება შემცირდეს, სხვადასხვა დაავადების, მღრღნელების და არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო.

რაც შეეხება პომიდვრის ფასებს, იგი საკმაოდ დინამიურია და თვეების მიხედვით მერყეობს. 2017 წელს საქართველოში საშუალოდ ყველაზე დაბალი ფასი დაფიქსირდა ივნისში 0.60 ლარი და ყველაზე მაღალი ფასი იყო ოქტომბერში 1.70 ლარი.

ფასებს დიდწილად განსაზღვრავს სეზონურობა. ზაფხულის განმავლობაში ბაზარს დიდი რაოდენობით პომიდორი მიეწოდება, ხოლო წარმოება მცირდება ზამთრის პერიოდში და ქართული პომიდვრის ადგილს იმპორტირებული პროდუქცია იკავებს. შესაბამისად, ზამთარში ადგილობრივი პომიდვრის ფასი ბევრად მაღალია, ვიდრე სეზონზე.

### ღიაბრაშა 15: 1 კგ პომიდვრის გაყიდვის ფასი(ლარი), 2017 წელი



წყარო: მონაცემები მონოდებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ

ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოხდა სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორის დაანგარიშება. საშუალო მოსავლიანობად აღებულია საქართველოში ღია გრუნტზე ქვემო ქართლში დაფიქსირებული მოსავლიანობის მიხედვით 2017 წელს, რომელიც შეადგენს 18.6 ტონას ჰექტარზე. პომიდვრის მოყვანის შედეგად მიღებული წლიური შემოსავალი 17 640 ლარი/ჰა, დანახარჯი კი 4 350 ლარი/ჰა, ხოლო მოგება 13 290 ლარი/ჰა. გაანგარიშებისათვის ფერმერის მიერ პომიდვრის გაყიდვის საშუალო ფასად აღებულია 1 ლარი, რომელიც 2017 წელს დაფიქსირდა საქართველოში.

### ცხრილი 8: პომიდვრის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები<sup>34</sup>

ინდიკატორები	შედეგები
მთლიანი ხარჯი (ლარი)	4 350
მოსავალი (კგ/ჰა)	18 240
საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	1
შემოსავლები (ლარი)	18 240
მოგება (ლარი)	13 890
თვითღირებულება (ლარი/კგ)	0.24
მოგების მარჟა (%)	76%

წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე და ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაანგარიშებებზე დაყრდნობით, იმ დაშვებით, რომ 1 ჰექტარზე მოსავლიანობა არის 18.6 ტონა პომიდვრის, ასევე გათვალისწინებულია 2%-იანი დანაკარგი.

34 ხარჯები იყოფა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სათესლე მასალა - 800 ლარი, ორგანული სასუქი - 1 200 ლარი, მინერალური სასუქი 450 ლარი, კულტივაცია - 500 ლარი, მოხვნა - 150 ლარი, დარგვა - 250 ლარი, პესტიციდების შეტანა 200 ლარი, მოსავლის აღება 200 ლარი, მორწყვა 450 ლარი, ტრანსპორტირება 150 ლარი და სხვა ხარჯები

მსგავსი ეკონომიკური გაანგარიშებები ასევე შეგვიძლია გავაკეთოთ იმერეთის შემთხვევაში, სადაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საშუალო მოსავლიანობა ღია გრუნტზე არის 5.6 ტონა ჰექტარზე. ხარჯები დათვლილია ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციების შედეგად. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პომიდვრის მოვლაზე ბევრად ნაკლებს ხარჯავენ იმერეთში, ვიდრე ეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაანგარიშებებშია მოცემული. შესაბამისად, წლიური ხარჯი შეადგენს 3 100 ლარი/ჰა, შემოსავალი კი 5 488 ლარი/ჰა, ხოლო მოგება 2 388 ლარი/ჰა.

**ცხრილი 9: პომიდვრის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები, იმერეთის შემთხვევაში<sup>35</sup>**

ინდიკატორები	შედეგები
მთლიანი ხარჯი (ლარი)	3 100
მოსავალი (კგ/ჰა)	5 488
საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	1
შემოსავლები (ლარი)	5 488
მოგება (ლარი)	2 388
თვითღირებულება (ლარი/კგ)	0.56
მოგების მარჟა (%)	43%

წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე და ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაანგარიშებებზე დაყრდნობით, იმ დაშვებით, რომ 1 ჰექტარზე მოსავლიანობა არის 5.6 ტონა პომიდვრის, ასევე გათვალისწინებულია 2%-იანი დანაკარგი

საინტერესო იქნება მსგავსი ანალიზი ჩატარდეს იმ შემთხვევისთვის, თუ მწარმოებელი გადაწყვეტს ქართული პომიდვრის ექსპორტზე გატანას.

საქართველოდან საშუალო საექსპორტო ფასი 1.01 აშშ დოლარია. თუ ამ ფასად მოხდება პომიდვრის ექსპორტირება ევროკავშირში მაშინ ექსპორტიორი თავისუფალი იქნება ყოველგვარი გადასახადიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰექტარზე 18.6 ტონა მოსავლის შემთხვევაში, ევროკავშირში პომიდვრის ექსპორტირება არამოგებიანია. ექსპორტზე გატანის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბევრად გაზრდილია ხარჯები, რადგან ფერმერს უნევს ბევრი სხვადასხვა სერტიფიკატის აღება და სტანდარტების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა რეგულაციების დანერგვა წარმოების პროცესში.<sup>36</sup>

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჰექტარო მოსავლიანობა იქნება 20.3 ტონა, წარმოების მთლიანი დანახარჯები და შემოსავლები ერთმანეთის ტოლი იქნება, შესაბამისად ევროკავშირში ექსპორტირება არამიზიდეველია. ქვემოთ ცხრილში მოყვანილია ეკონომიკური გაანგარიშებები იმ მოსავლიანობისათვის, როდესაც ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე დანახარჯები.

35 ხარჯები იყოფა შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სათესლე მასალა - 800 ლარი, სასუქი-800 ლარი, მინერალური სასუქი 750 ლარი, კულტივაცია - 500 ლარი, მოხვნა - 150 ლარი, შენამღვა-600 ლარი, მორწყვა 150 ლარი, ტრანსპორტირება 150ლარი და სხვა ხარჯები

36 <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:304:0001:0915:EN:PDF>

**ცხრილი 10: პომიდვრის წარმოების ეკონომიკური ინდიკატორები<sup>37</sup>**

ინდიკატორები	შედეგები
მთლიანი ხარჯი (ლარი)	52 839
მოსავალი (კგ/ჰა)	23 750
საშუალო გასაყიდი ფასი (ლარი/კგ)	2.75 <sup>38</sup>
შემოსავლები (ლარი)	65 312
მოგება (ლარი)	12 473
თვითღირებულება (ლარი/კგ)	2.22
მოგების მარჟა (%)	19%


წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებიდან მიღებულ შედეგებზე და ასევე გამოყენებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაანგარიშებები. იმ დაშვებით, რომ 1 ჰექტარზე პომიდვრის მოსავლიანობა არის 25 ტონა, ასევე გათვალისწინებულია 5%-იანი დანაკარგი.

საქართველოში არსებული მოსავლიანობის გათვალისწინებით, ღია გრუნტზე წარმოებული პომიდორის ექსპორტი ევროკავშირში არამოგებიანია. იქიდან გამომდინარე, რომ მოსავლიანობა დაბალია, საექსპორტო პომიდორის თვითღირებულება არის მაღალი, რაც არამიმზიდველს ხდის ევროკავშირის ბაზარს. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს საჰექტარო მოსავლიანობის ზრდა.

**დამატებითი ღირებულების გამოთვლა**

დამატებული ღირებულება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე წარმოადგენს ჯაჭვის სხვადასხვა რგოლებს შორის ფასების სხვაობას. პომიდვრის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივად მუნიციპალიტეტების ბაზრებზე, ასევე ქუთაისშიც. შემდეგ დისტრიბუტორები პროდუქციას ყიდიან სხვადასხვა რეგიონში. იშვიათია, თვითონ მწარმოებელმა მოახდინოს რეალიზაცია რეგიონის გარე ბაზარზე. ღირებულებათა ჯაჭვში ხდება 1 კილოგრამ პომიდორზე სულ 1.3 ლარის გენერირება. საინტერესოა დავაკვირდეთ ჯაჭვში ღირებულების განაწილებას მონაწილეებს შორის.

**ცხრილი 11: დამატებული ღირებულება პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვში**



წყარო: ავტორის გაანგარიშება ინტერვიუებზე დაყრდნობით


37 ხარჯები აღებულია სოფლია მეურნეობის სამეცნოერო კვლევითი ცენტრის ანალიზიდან

38 საქართველოს ეროვნული ბანკის 2018 წლის 4 ნოემბრის გაცვლითი კურსით (2.7251 ლარი/აშშ დოლარი)

# 8. SWOT ანალიზი და დისკუსია

## 8.1 კლიური მხარეები და განვითარების პოტენციალი

ცხრილი 12: იმერეთში პომიდვრის სექტორის „SWOT“ ანალიზი



კვლევის შედეგად გამოვლინდა ის დადებითი და უარყოფითი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პომიდვრის სექტორის ამჟამინდელ მდგომარეობასთან. უპირველესად უნდა აღინიშნოს პომიდვრის მაღალი კვებითი ღირებულება, რომელიც მას აქცევს მოხმარების შეუვლელ პროდუქტად. პომიდორი საკმაოდ ფართოდ გამოიყენება, როგორც ნედლი სახით ასევე გადამუშავებულიც. მასზე მომხმარებელს მოთხოვნა თითქმის მთელი წლის განმავლობაში აქვს. პომიდორზე მაღალი მოთხოვნაა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. სწორედ ამიტომ პომიდვრის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი მოყვანა შესაძლებელია როგორც ღია გრუნტზე ასევე სათბურშიც, რაც საშუალებას იძლევა, მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად იქნეს ბაზარზე მიწოდებული. პომიდვრის ადგილობრივ მწარმოებებს აქვთ დიდი პოტენციალი, იმპორტირებული ჩაანაცვლონ ადგილობრივი პროდუქციით და ასევე ნარმატივით გაიტანონ ქართული ნარმოების პომიდორი ექსპორტზე.

პომიდვრის ნარმოების ერთ-ერთ სუსტ მხარედ შეიძლება განვიხილოთ ამ პროდუქტის მალფუქტებადობა. აქედან გამომდინარე, დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს სამაცივრე მეურნეობების არარსებობა. თუმცა, მეორე მხრივ, სამომავლოდ მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ პომიდვრის გადამამუშავებლები, რადგან პომიდვრისგან ნარმოებული პროდუქტები (ტომატი, კეტჩუპი, პომიდვრის წვენი) პოპულარობით სარგებლობენ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც.

პომიდვრის სექტორში არსებულ პრობლემებს შორისაა თანამედროვე ტექნოლოგიების სიმწირე და ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. პომიდვრის სათბურების დიდი ნაწილი არ არის იმ სტანდარტების შესაბამისად დამზადებული, რაც აუცილებელია მისი ნარმოებისთვის. რაც შეეხება ღია გრუნტზე მოყვანილ პომიდორს, ხშირ შემთხვევაში, პრობლემაა სარწყავი სისტემა, რომელიც თითქმის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის მონესრიგებული. ასევე ღია გრუნტზე მეტია დაავადებების (ტკიპა, ფესვის და ნაყოფის სიდამპლე, ნაცარი) გავრცელების საფრთხე.

ასევე, უმეტესობა ინტერვიუებიდან ერთ-ერთ პრობლემად გამოიკვეთა ხარისხიან სათესლე მასალაზე ხელმისაწვდომობა. სპეციალისტების მოსაზრებით, უნდა მუშავდებოდეს საქართველოს და უფრო კონკრეტულად რეგიონის კლიმატსა და ნიადაგს მორგებული ჯიშები, რათა მოხდეს პროდუქტიულობის ზრდა. დღესდღეობით, უსისტემოდ შემოდის სხვადასხვა ჯიშები, რომელთა შემონმება არ ხდება; აქედან გამომდინარე, ფერმერს უწევს ახალი თესლის გამოცდა და რისკის თავის თავზე აღება.

კვლევის პროცესში ასევე გამოვლინდა პროფესიონალი კადრების ნაკლებობა ამ სფეროში. ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებებში, აქაც პრობლემაა პროფესიონალი აგრონომების პოვნა. ნედლეულის მაღაზიაში სათანადო კონსულტაციებს ვერ იღებენ, თუ რომელი შხამქიმიკატი ან სასუქია საჭირო მათთვის. არავინ აწვდის ინფორმაციას სათესლე მასალის ვარგისიანობაზე.

ამ სექტორში არსებობს უამრავი შესაძლებლობაა ზრდისა და წინსვლისთვის. პირველ რიგში, ეს შეეხება პროდუქტიულობის გაზრდას, რაც ბევრად გაზრდის ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების შემოსავლებს. პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთი საწინდარია მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა, რაც გულისხმობს შესაბამისი სტანდარტების სათბურებს, ხარისხიან ნედლეულს და თესლს, სარწყავ სისტემას და ა. შ. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოში პროდუქტიულობის შემცირება მოხდა წლების განმავლობაში. თუ მას შევადარებთ მაღალგანვითარებულ ევროპულ ქვეყნებს ვნახავთ, რომ ჰოლანდიაში მოსავლიანობა 46-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სექტორში დასაქმებულების დაახლოებით 95% მცირე ფერმერია, ვერ ხერხდება მათგან დიდი მოცულობის ერ-



თგვაროვანი პროდუქტის შეგროვება, რის გამოც რთულდება ლოჯისტიკა და რთულია პროდუქტის გარე ბაზარზე გატანის ორგანიზება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მოხდეს განვითარებული ქვეყნების მაგალითების შესწავლა და მათი გამოცდილების გაზიარება. შესაძლებელია ასევე მოეწყოს სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც მოხდება სხვადასხვა ჯიშების შემონახვა, რამდენად ადაპტირებადია გარემოსთან და მოხდეს მისი პოტენციალის განსაზღვრა.

ასევე, მნიშვნელოვანია განვითარდეს ღირებულებათა ჯაჭვის შუა რგოლები: სამაცივრე მეურნეობები, სანყოფემა, გადამამუშავებლები. ეს ყველაფერი შექმნის დამატებით ღირებულებას ჯაჭვში, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ყველა რგოლზე.

## 9. რეკომენდაციები

### 9.1 რეკომენდაციები მწარმოებლებს

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პომიდორს აქვს პოტენციური, ქვეყნის შიგნით ჩანაცვლოს იმპორტირებული პროდუქცია და გააჩნია საექსპორტო პოტენციალიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული საჰექტარო მოსავლიანობით (18.6 ტონა ჰექტარზე ქვემო ქართლში, რაც მაქსიმალური მონაცემია საქართველოში) ევროკავშირში პომიდვრის ექსპორტირება არამოგებიანია. დაბალი საჰექტარო მოსავლიანობა ზრდის პომიდვრის წარმოების თვითღირებულებას, რაც ქართველ ფერმერებს არაკონკურენტულად აქცევს სხვებთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია მოხდეს საჰექტარო მოსავლიანობის გაუმჯობესება. პირველ რიგში, უნდა მოხდეს საუკეთესო აგროპრაქტიკის დანერგვა და ფერმერების ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით. ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება ის, რომ მწარმოებლებმა წარმოება დაიწყონ იმ ნიადაგის შესწავლით და ჩაატარონ ლაბორატორიული ანალიზი, რომელზეც შემდგომ საქმიანობას დაიწყებენ. ასევე, მაღალწარმოებლური სათესლე ჯიშების დანერგვა ხელს შეუწყობს, საშუალო მოსავლიანობის ამაღლებას. კვლევამ აჩვენა, რომ დარგში მცირე ფერმერების მოსავლიანობა არის დაბალი, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უხარისხო სათესლე მასალაა.

ასევე მნიშვნელოვანია კოოპერაციის განვითარება და გაღრმავება მცირე და საშუალო ფერმერებს შორის მნიშვნელოვანი და რეკომენდებულია, ფერმერებმა ითანამშრომლონ და მოახდინონ გაერთიანება, რათა ერთად აიღონ შესაბამისი სერთიფიკატები, რაც მათ შეუმცირებთ სერტიფიკატზე გასაწევ დანახარჯებს.

ფერმერებმა უნდა იფიქრონ იმპორტირებული პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლებაზე. სათბურის პირობებში ფერმერებმა უნდა იფიქრონ ზამთრის პერიოდში პომიდორის წარმოებაზე, რადგან ზამთარში ძირითადად მწვანილის წარმოებაზე გადადიან. იქედან გამომდინარე, რომ არასეზონზე ქართული პომიდორის ფასი მაღალია ადგილობრივი ბაზარი მიმზიდველი უნდა იყოს მწარმოებლებისათვის.

მნიშვნელოვანია მოხდეს ინფორმაციის გაცვლა როგორც მუნიციპალიტეტებს შორის, ასევე რეგიონებს შორისაც. მნიშვნელოვანია ფერმერებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიებზე, რათა სწრაფად მოხდეს განვითარება.

ასევე, მწარმოებლები უნდა ეცადონ, იზოვონ ნიშური პროდუქტი, რომლითაც შეძლებენ ევროკავშირის ბაზარზე კონკურენციის განწევას სხვა მწარმოებლებისათვის. ასეთი პროდუქტი შეიძლება იყოს, მაგალითად ისეთი გამორჩეული ჯიშის წარმოება, როგორცაა „ჭოპორტულა“. ეს ჯიშში გამოირჩევა განსაკუთრებული გემური თვისებებით და დიდი პოპულარობით სარგებლობს ქვეყნის შიგნით. კიდევ ერთი შესაძლებლობაა ბიოპომიდვრის წარმოება, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს და ფასიც გაცილებით მაღალია.

## 9.2 რეკომენდაციები შუალედური რგოლის წარმომადგენლებისთვის

როგორც უკვე აღინიშნა, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში თითქმის არ არსებობს გადამამუშავებლები და საკმარისი რაოდენობის სამაცივრე მეურნეობები. არსებული მეურნეობები მორგებული არ არის პომიდვრის კულტურას. მოსავლიანობის ზრდის პირობებში და პომიდვრის თვითღირებულების შემცირებით ფერმერები შეძლებენ უფრო დაბალ ფასად გაყიდონ პომიდორი გადამამუშავებლებზე. დღესდღეობით იმის გამო, რომ ქარხანაში ჩასაბარებელი ფასი საბაზრო ფასზე ნაკლებია, ფერმერებს ურჩევნიათ სხვა მყიდველი მოიძიონ.

სეზონის გახანგრძლივებისათვის მნიშვნელოვანია სამაცივრე მეურნეობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ, რომ ქართული პომიდორი ბაზარზე მთელი წლის განმავლობაში იყოს. აღნიშნული ტექნოლოგიები ამცირებს ალბულის მოსავლის დანაკარგებს და ხელს უწყობს სტაბილური ფასების შენარჩუნებას ბაზარზე, რაც სექტორში მომუშავე ბიზნესსუბიექტებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დარგის გამოცდილი სპეციალისტების გამოცდილებით და მეზობელ ქვეყნებში არსებული გამოცდილების გზაირებით უნდა მოხერხდეს პომიდვრის წარმოების ინდუსტრიალიზაცია, ადგილობრივმა პროდუქტმა მისი წარმოების მოცულობის ზრდით უნდა მოახერხოს იმპორტირებული პროდუქციის მთლიანად ჩანაცვლება.

## 9.3 რეკომენდაციები სახელმწიფოს

უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021 წლებში ზოგადად მიმოიხილავს სოფლის მეურნეობას, თუმცა აღნიშნავს, რამდენად მნიშვნელოვანია მეზოსტენობა იმერეთის რეგიონისათვის.

პირველ რიგში, სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, აქტიური მუშაობა ახალი ბაზრების ათვისებისა და გახსნილ ბაზრებზე პროდუქციის მიწოდების შემდგომი ზრდის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ფერმერებს პომიდვრის მოსავლიანობის ზრდის პროცესში. პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა გაზარდოს ფერმერების ხელმისაწვდომობა მაღალხარისხიან სათესლე მალასაზე, რაც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა კვლევის პროცესში. სპეციალისტების მოსაზრებით უნდა მუშავდებოდეს ნიადაგს მორგებული ჯიშები, რათა მოხდეს პროდუქტიულობის ზრდა. დღესდღეობით, უსისტემოდ შემოდის სხვადასხვა ჯიშები, რომლებიც არ არის გამოცდილი სპეციალისტების მიერ, რაც ფერმერებს რისკის ქვეშ აყენებს, რადგან ფერმერები აღნიშნავენ ბაზარზე ხშირად ხვდებით უხარისხო სათესლე მასალა. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სერტიფიცირებული საჩითილე მეურნეობების განვითარებას რეგიონში, რაც გამოიწვევს დარგის განვითარებას.

ექსტენციის სამსახურებში კვალიფიციური აგრონომების დამატება, ვისგანაც ფერმერებს შეეძლებათ ინფორმაცია მიიღონ, ხელს შეუწყობს ფერმერების ცნობიერების ამაღლებას. ამისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტების დონეზე მოხდეს აგრონომების გადამზადება და მათი ჩართულობის გაზრდა ფერმერების საქმიანობაში.

სასურველია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს საჩვენებელი ნაკვეთების გაშენებას იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, სადაც ფერმერებს შეეძლებათ თავად დააკვირდნენ წარმოების პროცესებს. როგორც აღინიშნა, ასევე შესაძლებელია მოეწყოს სასწავლო ტურები ფერმერებისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც.

## 9.4 რეკომენდაციები ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად

იმისათვის, რომ მოხდეს პომიდვრის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება და ჯაჭვის მონაწილეებისთვის გაიზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, სასურველია, რომ სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მეტად გავრცელდეს. აუცილებელია, რომ ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ ამა თუ იმ პროგრამაში დაფინანსების მისაღებად, რა კრიტერიუმები დააკმაყოფილონ იმისათვის, რომ დაფინანსება მიიღონ.

ასევე, სასურველია, ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ, ფინანსური ინსტიტუტების სერვისებისა და პროდუქტების შესახებ. კომერციულ ბანკებს ღირებულებათა ჯაჭვის დაფინანსება სხვადასხვა საბანკო პროდუქტებით შეუძლიათ. მართლია, ამჟამად სესხი ყველაზე გავრცელებული დაფინანსების საშუალებაა, თუმცა არსებობს, საბანკო გარანტიები, აკრედიტივები და სხვა პროდუქტები, რაც ზოგიერთ შემთხვევაში, სესხზე იაფია და, ამასთან ერთად, ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებას უწყობს ხელს.

ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეების მხრიდან სასურველია აღრიცხვიანობის პრობლემის მოგვარება, რათა მომავალში მათ გაუადვილდეთ შემოსავლებისა და ხარჯების დადასტურება, შესაბამისად, გაუადვილდეთ სესხის აღება.

ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებს შორის ფორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება, შეთანხმებების გაფორმება, კიდევ ერთი გზაა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. კონტრაქტების საფუძველზე, ფინანსური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოსთვის მარტივდება მსესხებლის, ბენეფიციარის გადახდისუნარიანობისა და საპროგნოზო შემოსავლებისა შეფასება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკების შემცირება, რაც სავარაუდოდ, აისახება შემცირებულ საპროცენტო განაკვეთში. სწორედ ამიტომ მსგავსი შეთანხმებების ხელშეწყობა, ნახალისება, სასურველია როგორც სახელმწიფოს, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

## ბიბლიოგრაფია

1. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021;
2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში, PIN, 2014;
3. პომიდვრის აგროტექნოლოგია, MoA, 2015;
4. პომიდვრის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები;  
<http://srca.gov.ge/files/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C.pdf>. ISET Economis Blog  
<http://iset-pi.ge/index.php/en/iset-economist-blog-2/entry/asian-invasion-stink-bug-in-georgia>
6. აგროკავკასია „პომიდორი – მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია და ჯიშები“, 2016;  
<http://agrokavkaz.ge/dargebi/mebostneoba/pomidori-movla-moqhvanis-teqnologia-da-jishebi.html>
7. [www.comtrade.un.org](http://www.comtrade.un.org);
8. [www.Trademap.org](http://www.Trademap.org);
9. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა, FAOSTAT, 2018  
[www.faostat.org](http://www.faostat.org).

## დანართი

რისკონდენტი	დაინტერესებული მხარე	ინტერვიუს ჩატარების თარიღი	ინტერვიუს ჩატარების აღბილი
მინდია ქარქაშაძე	საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი	22.02.2018	თერჯოლა
რამაზ ცქიფურიშვილი	აგრომალაზია	12.04.2018	სოფ. ენერი
გელა დათუნაშვილი	ფერმერი	17.01.2018	სოფ. ღვანკითი
ლეილა კელენჯერიძე	ფერმერი	27.08.2018	სოფ. ახალთერჯოლა
მალხაზ კუბლაშვილი	ფერმერი	27.08.2018	სოფ. ღვანკითი
ნიკოლოზ სოფრომაძე	ფერმერი	23.01.2018	სოფ. რუფოთი
გრიგოლ კახიძე	აგრომალაზია	12.03.2018	წყალტუბო, ქვიტირი
შორენა კაჭკაჭიშვილი	აგრომალაზია	12.03.2018	ქუთაისი
მინდია ქარქაშაძე	საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური	05.09.2018	თერჯოლა
მერაბ ბარათაშვილი	ექსპერტი	11.03.2018	ქუთაისი
ლევან გურეშიძე	სასათბურე მეურნეობა	28.02.2018	სოფ. გეგუთი
სოლომონ ფანჩულიძე	ფერმერი	17.08.2018	
მამუკა წიქორიძე	სასათბურე მეურნეობა	01.03.2018	სოფ. გეგუთი
ემზარ ღვინიაშვილი	იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი	25.02.2018	ქუთაისი
გურამ გურჯიძე	საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური	05.09.2018	თერჯოლა
ბესიკ გუბელაძე	სასათბურე მეურნეობა	07.09.2018	სოფ. პატრიკეთი
მერაბ ფანჩულიძე	ფერმერი	07.08.2018	სოფ. სიქთარვა
ბელა ბოჭორიშვილი	ფერმერი	17.08.2018	თერჯოლა
მამუკა წიქორიძე	ფერმერი	20.08.2018	სოფ. გეგუთი
აზა მაჩიტაძე	ფერმერი	02.08.2018	თერჯოლა



